გაზეთი ბიჯერია, „ვერსიანა“ ერთი

ვერსია

№20 (1562) 16 — 22 ივნისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„ზოგი აგენტია და ზოგი მამაძაღლი!“

გიორგი გუგავა პარლამენტში შესულ ოპოზიციას უპირისპირდება

რას მოუტანს საქართველოს სომხეთ-აზერბაიჯანს შორის წარმატებული ფასილიტაცია

დიდი პოლიტიკის ბინძური, კულუარული თამაშების ანატომია

„ძალიან ჩახლართული სიტუაციაა“

ალუდა ღუდუშაური: „ნაცმოძრაობა“ სხვა გალაქტიკის სფეროშია ჩარჩენილი!“

რატომ ადანაშაულებს უმრავლესობა ოპოზიციას საბოტაჟში

სრულიად წარმოუდგენელი სიმართლე – სპეცსამსახურისა და „კანონიერი ქურდების“ საიდუმლო თათბირი



ვინ იყო „მონღოლი“ – მასალები „კა-გე-ბე“-ს საიდუმლო არქივიდან

ბურუსით მოცული მკვლელობის მთავარი მოწმე საკუთარ სადარბაზოსთან მოკლეს

რატომ ვერ გახსნეს სამართალდამცავებმა დანაშაული – თაროზე შემოდებული საქმის დეტალები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ქვემო ქართლის პოლიციამ, ძალადობის ბრალდებით, ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი: 1993 წელს დაბადებული ნ.ა., 1999 წელს დაბადებული ლ.ო., წარსულში ნასამართლევები – 1992 წელს დაბადებული ნ.მ. და 1993 წელს დაბადებული ნ.მ. დააკავეს.

მათ ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად განხორციელებულ ძალადობაში ედებათ ბრალი.

დანაშაული ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 10 ივნისს, დმანისში, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ნაცნობს – 1982 წელს დაბადებულ ლ.ნ.-ს და მის თანმხლებ პირებს – 1983 წელს დაბადებულ ე.ნ.-ს და 1984 წელს დაბადებულ რ.მ.-ს.

პოლიციამ ოთხივე ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

შსს-ს აკადემიის მიერ გაცემული დიპლომების აღიარებისა და მათი მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების შესახებ პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილება მიიღო

საქართველოს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ გაცემული დიპლომების აღიარებისა და მათი მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების შესახებ საკანონმდებლო ცვლილება მიიღო. საქართველოს პარლამენტმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილება მესამე მოსმენით მიიღო. აღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ გაცემული დიპლომების აღიარებისა და მათი მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების საკითხი. აღსანიშნავია, რომ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე გაცემული დიპლომების აღიარება, პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენდა. აკადემიის კურსდამთავრებულები მიღებული დიპლომის აღიარებასა და მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებას სასამართლოსადმი მიმართვის გზით აღწევდნენ. საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შედეგად, აკადემიის კურსდამთავრებულებს აღარ მოუწევთ, რომ თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოში მიმართვის გზით დაიცვან.

შსს-ს კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ფოტო-კონკურსი გამოცხადდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კამპანიის – #ნუწაართმევბავშვობას ფარგლებში, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობითა და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, გიწვევთ ფოტო-კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ფოტო-კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია 14-დან 24 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს. ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგების შესახებ, ფოტო-კონკურსის მონაწილეებმა, 2021 წლის 10 ივლისამდე უნდა გამოგზავნონ საკუთარი მასალები ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: adamianisuflebebi@mia.gov.ge

ჟიურის წევრები გამოავლენენ სამ საუკეთესო ნამუშევარს, რომლებსაც გადაეცემათ ჯილდო:

I ადგილი – წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსის“ 800-ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი

II ადგილი – წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსის“ 400-ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი

III ადგილი – წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსის“ 300-ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი

კონკურსში მონაწილე ყველა პირს გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

პოლიციამ ბათუმში მდებარე ერთ-ერთ მარკეტში ხანძრის გაჩენის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, არასრულწლოვანი – 2005 წელს დაბადებული შ.ა., ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით, ბათუმში დააკავეს. დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ შ.ა.-მ, მიმდინარე წლის 9 ივნისს, თანმხლებ პირებთან ერთად, ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მდებარე მარკეტ „ფარფურის“ მინის კარი დააზიანა და იქ არსებულ ნივთებს ცეცხლი წაუკიდა. დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, იმერეთში კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1993 წელს დაბადებული დ.ხ., ბრალდებულის სახით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 29 მაისს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათში, „ნამახვანჰესის“ მოწინააღმდეგეთა საპროტესტო აქციაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მყოფ პოლიციის თანამშრომელს თავს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

პოლიციამ, ამავე საპროტესტო აქციის დროს, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, ერთი პირი რამდენიმე დღის წინ დააკავა. 1992 წელს დაბადებულ ი.მ.-ს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილება

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომლის მიხედვით, მოქალაქეებს „112“-ის წინაშე დაგროვილი დავალიანება ჩამოეწერებათ.

აღნიშნული ცვლილების თანახმად, პირებს, რომელთა ავტომობილიც, კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის დაცულ ავტოსადგომზე, 2020 წლის 1 სექტემბრამდე განთავსდა და დღემდე არ მომხდარა მათი გაყვანა, ერთჯერადად, 100 ლარის გადახდის სანაცვლოდ, საშუალება ეძლევათ, დაიბრუნონ საკუთარი ავტომობილი. ამასთან, მათ სრულად ჩამოეწერებათ „112-ის“ წინაშე დაგროვილი დავალიანება, რომლის საერთო ოდენობა, დღეის მდგომარეობით, 4 მილიონამდე ლარს შეადგენს.

აღნიშნული შეღავათით სარგებლობა უფლებამოსილ პირებს, კანონის ამოქმედებიდან სამი თვის განმავლობაში შეეძლებათ.

4 მილიონ ლარამდე დაგროვილი დავალიანების ჩამოწერა მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით შეიქმნა სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი ავტომანქანების ადმინისტრირებისა და მათი სადგომიდან გაყვანის ეფექტიანი მექანიზმი, რაც სამომავლოდ გამორიცხავს მოქალაქეთათვის მსგავსი დავალიანების დაგროვების რისკებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილებისა და დგომის უზრუნველყოფა. ეს მიმართულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების დაცულ სადგომზე გადაყვანასა და აღნიშნულ სადგომზე მისი დგომის უზრუნველყოფას.

„ძალიან ჩახლართული სიტუაციაა“

ნინო დოლიძე

სანამ ქართველი პოლიტიკოსები ამნისტიის კანონპროექტსა თუ სხვა მსგავს საკითხებზე ჩხუბობენ, მსოფლიო ლამის მარსზე გაფრინდეს. „მარსზე გაფრენა“ ხატოვანი ნათქვამია, სინამდვილეში კი, სახეზეა ახალი პოლიტიკური გადანაწილება. სხვათა შორის, „ვერსიის“ წინა ნომერში ახალ გადანაწილებაზე უკვე ვწერდით, თუმცა მაშინ აქცენტი, ძირითადად, კორონათი გამოწვეულ ე.წ. ახალ წესრიგზე გავაკეთეთ. ახლა კი, მოდით, ეს თემა წმინდა პოლიტიკური კუთხით გავშალოთ.

მსოფლიო პოლიტიკის ქართული ალგორითმი ანუ რა ხდება ჩვენს თავს

მაშ, ასე: წლებია, არსებობს მოლოდინი, რომ დედამიწის მთავარი პოლიტმოთამაშეები როლებს გაცვლიან. 2019 წლის მიწურულამდე ითვლებოდა, რომ ამ „როლების გაცვლაში“ გადამწყვეტ სიტყვას ბირთვული იარაღი იტყოდა, მაგრამ კორონას გამოჩენის შემდეგ, ყველაფერი ყირამალა დადგა ანუ დღეს ე.წ. მომაკვდინებელი ვირუსი, რომელიც ჩინეთში „გაჩნდა“, ახალი გადანაწილების მთავარი კოზირია.

სხვათა შორის, ბოლო დღეებია, დასავლეთში უკვე აქტიურად მიდის იმაზე საუბარი, რომ კორონავირუსი ლაბორატორიულადაა შექმნილი. აი, მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, „ამერიკის ხმამ“ სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„ჰიპოთეზა კორონავირუსის ლაბორატორიული წარმოშობის შესახებ დასაშვებია და შემდგომ გამოძიებას მოითხოვს, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკის სამთავრობო ლაბორატორიაში. საუბარია COVID-19-ის პანდემიის საწყის ეტაპზე, ჩინეთში მდებარე ვუჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიიდან მის შესაძლო გაპარვასა და მთელ მსოფლიოში გავრცელებაზე.

სამთავრობო ლაბორატორიის ანგარიში ჯერ ოფიციალური არ არის, თუმცა საიდუმლო ინფორმაციამ მედიაში გაჟონა და მის შესახებ სტატია „უოლ-სტრიტ ჯორნალმა“ (Wall Street Journal) გამოაქვეყნა. გამოცემის მიხედვით, კვლევა გასული წლის მაისში მომზადდა, კალიფორნიის ლოურენს ლივმორის ეროვნულ ლაბორატორიაში. შემდეგ ანგარიში გადაეგზავნა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს. ეს ყოველივე პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის ბოლო თვეებში ხდებოდა.

„უოლ-სტრიტ ჯორნალის“ ცნობით, ლოურენს ლივმორის ლაბორატორიის შეფასება ახალი კორონავირუსის სარს-კოვ-2 გენომის ანალიზს ეყრდნობა. თავად ეროვნული ლაბორატორია კომენტარზე ჯერჯერობით უარს აცხადებს.

აღნიშნული ინფორმაცია თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაციის ოფიციალურ განცხადებებთან თანხვედრაშია. გასულ თვეში, პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განკარგულება გასცა, 90 დღის განმავლობაში გამოეძიათ კორონავირუსის წარმოშობის საკითხი.

ამერიკის დაზვერვა ამჟამად ორ ვერსიას განიხილავს. ერთია, ლაბორატორიიდან ვირუსის შემთხვევით გაპარვის შესაძლებლობა და მეორე – ვირუსის ცხოველიდან ადამიანზე გადაცემა. თუმცა, პრეზიდენტ ბაიდენის თქმით, ჯერ გამოძიება არ დასრულებულა და საბოლოო დასკვნამდე არ მისულან.

როგორც ითქვა, დაზვერვის საიდუმლო ინფორმაცია სამთავრობო წრეებში პრეზიდენტ ტრამპის დროსაც ცირკულირებდა. მაშინ ეჭვის საფუძველი კიდევ ერთი ცნობა გახდა, რომლის მიხედვითაც, 2019 წლის ნოემბერში, ლაბორატორიის სამი თანამშრომელი ავად გახდა და საავადმყოფოში მკურნალობა დასჭირდათ. თეთრი სახლი მაშინაც და ახლაც ჩინეთისგან მეტ გამჭვირვალობას ითხოვდა“.

მოკლედ, თუ დადასტურდება, რომ კორონამ ლაბორატორიიდან გაჟონა, მაშინ სავსებით დასაშვებია, რომ ჩინეთის წინააღმდეგ, თანამედროვე ნიუნბერგის პროცესი გაიმართოს. ისე, კორონა, შესაძლოა, საბაბი იყოს, თორემ ჩინეთის „ჯინი“, იგივე აშშ-ს რომ აქვს, ცხადზე უცხადესია. ეს „ჯინი“ კი იმაში გამოიხატება, რომ ჩინეთი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სამხრეთ კავკასიაშიც ცდილობს შემოღწევას. ყოველ შემთხვევაში, ყარაბაღის ე.წ. განახლებული კონფლიქტის დროს, ცალკეულმა ექსპერტებმა აქცენტი სწორედ ჩინეთის ინტერესებზე გააკეთეს. აი, ის კი, რომ სამხრეთ კავკასიისთვის დასავლეთი და რუსეთი ერკინებიან ერთმანეთს, ახალი ნამდვილად არაა.

ამ მარათონში ღიად თურქეთიც ჩაერთო. ჯერ ერთი, რამდენიმე თვის წინ, ოფიციალური ანკარა ე.წ. ექვსიანის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელსაც მხარი აზერბაიჯანმა და არაპირდაპირ რუსეთმაც აუბა. ახლახანს კი, კერძოდ, 15 ივნისს, თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ბაქოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ეს, ერთი შეხედვით, რიგით ვიზიტად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ რამდენიმე დღის წინ, საქართველოს, კერძოდ, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის უშუალო მედიაციით, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დიდი შეთანხმება შედგა ანუ ამით ჩვენი ქვეყნის, როგორც მსოფლიო პოლიტიკის მოთამაშის როლი და წონა გაიზარდა. საქართველოს პოზიციების გამყარება, ძნელი მისახვედრი არაა, რომ ყველაზე მეტად რუსეთს უშლის ნერვებს. ამიტომაც, ჩრდილოეთიდან „შპილკები“ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუმცა ყველაფერ ამას, ქართველი პოლიტიკოსები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ. უფრო მეტიც, პოლიტფეისებიდან უმეტესობა, საგარეო პოლიტიკის „გარტყმაშიც“ არაა.

სამაგიეროდ, „ბელადები“ იაფფასიანი ინტრიგების რეკორდებს ამყარებენ და საცირკო წარმოდგენებსაც მართავენ. ზოგადად, პოლიტშოუები ხალხს ართობს, მაგრამ ეს გართობა ყელში ამოსასვლელია, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია.

ჰოდა, არაა გამორიცხული, რომ ამ პრობლემებით დაღლილმა ხალხმა ოპოზიციაც ფეხზე დაიკიდოს და, ზოგადად, პოლიტიკაც.

ვინ ისარგებლებს ყველაფერ ამით? – ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუმცა თუ ქვეყანაში მუდმივი პოლიტკრიზისი იქნება, ამით, რასაკვირველია, ისევ „ჩრდილოელი ძმა“ ისარგებლებს.

რაც შეეხება რეგიონში შექმნილ სიტუაციას, ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა ვახსენოთ ე.წ. ისრაელის კრიზისი – არცთუ დიდი ხნის წინ, ისრაელსა და ჰამასს შორის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. მართალია, ამ ეტაპზე, ვითარება განმუხტულია, მაგრამ სამხედრო დაზვერვის თადარიგის ოფიცერი, კონსტანტინე ფორჩხიძე უშვებს ვერსიას, რომ ყველაფერ ამის კვალიც, შესაძლოა, რუსეთამდე მიდიოდეს:

„რეგიონში რუსეთია შემოსული. მეტიც, სირიაში, პრაქტიკულად, დამკვიდრებულია ანუ სირიაში იგივე რეჟიმი იქნა შენარჩუნებული, რაც მხოლოდ რუსეთის კი არა, არამედ, ირანის ინტერესებშიცაა.

საერთოდ, ისრაელის სახელმწიფოს განადურება, იმთავითვე, ჯიჰადის მიზანია. სხვათა შორის, ისრაელის საელმწიფოს განადგურება მხოლოდ ჯიჰადის კი არა, „ალ ქაიდას“ საპროგრამო მიმართულებაც იყო. ამ დაპირისპირების კიდევ ერთი ნაპერწკალი კი ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადება გახდა.

აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ პალესტინის სახელმწიფოს დაფუძნება ისრაელის სახელმწიფოს ინტერესში არ შედიოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ისრაელმა დათმო, რადგან მასზე დასავლეთიდან, მათ შორის, აშშ-დანაც ძალიან დიდი ზეწოლა იყო.

საბოლოო ჯამში, ძალიან ჩახლართული სიტუაციაა...

ისე, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ანდროპოვის განკარგულებით, „ჰამასს“ იარაღი მიეწოდებოდა და ეს დოკუმენტი პირადად მაქვს ნანახი.

სხვათა შორის, „ჰამასის“ ჩამოყალიბებაში საბჭოთა „კა-გე-ბე“-ს დიდი როლი აქვს შესრულებული.

შეიძლება, დღევანდელ კონფლიქტში რუსეთი პირდაპირ ჩართული არაა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დროს დაწყებული ზემოხსენებული ურთიერთობა დღესაც გრძელდება. ყოველ შემთხვევაში, იარაღის უკანონო ვაჭრობის თემატიკის უკან რუსეთი რომ იდგეს, ამის გამორიცხვა ნამდვილად არ შეიძლება.

აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს სლობოდა ტეშიჩი, რომელიც ჩვენს რეგიონში, იარაღის ძირითადი მომწოდებელია. ტეშიჩი იუგოსლავიის სპეცსამსახურების ყოფილი წარმომადგენელია, რომელიც თავის დროზე, საქართველოში იყო დაფუძნებული.

არსებობდა ასეთი კომპანია – „მელორ კორპორეიშენი“, რომელსაც თავის დროზე, ურთერთობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთანაც ჰქონდა. ბოლო სკანდალი, რომელშიც სლობოდა ტეშიჩი და ეს კომპანია ფიგურირებდნენ, სულ რამდენიმე თვის წინ იყო – ალბათ, გახსოვთ, არცთუ დიდი ხნის წინ, აზერბაიჯანმა საქართველოს პრეტენზია წაუყენა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა იარაღი, რომელიც სომხეთში უნდა შესულიყო“.

ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, მონასტერი არეულია, თუმცა ნათქვამია, ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა ადვილიაო. ჰოდა, უნდა შევეცადოთ, რომ საქართველო მსოფლიო პოლიტიკის მთავარი ალგორითმი გახდეს...

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიცია შევიდა და საპარლამენტო ცხოვრებაც უფრო საინტერესო გახდა. წინა კვირას, ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა ამნისტიის შესახებ კანონპროექტის განხილვა, რომელიც უმრავლესობამ დაამტკიცა და კანონად აქცია. შიდაპოლიტიკურ საკითხებთან ერთად, საინტერესოდ ვითარდება ქვეყნის საგარეო ურთიერთობებიც – საქართველოს ჩართულობით, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ტყვეთა გაცვლაზე შეთანხმება შეძლეს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. ყველაფერ ამასთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც მოახლოვდა... რა ეტაპზეა მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანია? – „ვერსია“ უმრავლესობის წევრს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალუდა ღუდუშაურს ესაუბრა:

ალუდა ღუდუშაური: „ნაციმოძრაობა“ სხვა გალაქტიკის სფეროშია ჩარჩენილი!“

რატომ ადანაშაულებს უმრავლესობა ოპოზიციას საბოტაჟში

– ბატონო ალუდა, ნატო-ს სამიტზე, საქართველო განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. ამას კი საქართველოს მედიატორობით, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის შეთანხმება უძღვოდა წინ. რას იტყვით, მსოფლიო პოლიტიკის რუკაზე, ჩვენს ქვეყანას ახლა რა ადგილი უკავია?

– უაღრესად მნიშვნელოვანი რამ მოხდა, მართლაც, ისტორიული მოვლენაა. აღნიშნულის შემდეგ, საქართველო, შეიძლება ითქვას, მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერია, რომელსაც შესწევს უნარი, სამეზობლოში გამორჩეული მედიატორი იყოს მხარეებს შორის წარმოქმნილი მწვავე, რამდენიმეწლიანი კონფლიქტის დროს.

ბატონი ღარიბაშვილის ძალისხმევით, ჩართულობითა და ფილიპ რიკერის მონაწილეობით, ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა – საქართველომ უაღრესად სერიოზული როლი შეასრულა, რითაც ხაზი გაესვა, რომ ჩვენი ქვეყანა, ერთი მხრივ, სანდო და მნიშვნელოვანი პარტნიორია საერთაშორისო საზოგადოებისთვის და მეორე მხრივ, საქართველოს შესწევს უნარი, ამ გეოპოლიტიკურ რუკაზე, თავისი მკაფიო როლი კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინოს და საკუთარი სტატუსი მეტად განამტკიცოს.

– მოდით, შიდაპოლიტიკაზეც ვისაუბროთ... ალბათ, დამეთანხმებით, რომ ოპოზიციის მიერ ბოიკოტის შეწყვეტის შემდეგ, საპარლამენტო ცხოვრება გააქტიურდა. ხმაურით განიხილებოდა ამნისტიის შესახებ კანონპროექტი და რას ეტყვით მოსახლეობას, რას გულისხმობს პროექტი? სხვათა შორის, ამნისტიის საკუთარი პროექტი ოპოზიციასაც ჰქონდა...

– უპირველეს ყოვლისა, მინდა, აღვნიშნო, რომ ოპოზიციამ თავშივე იცოდა, მის მიერ დაინიცირებული კანონპროექტი ერთი მარტივი მიზეზის გამო ჩავარდებოდა – საერთო არ ჰქონდა არც მიშელის დოკუმენტთან, არც – სამართლის საფუძვლებთან და ზოგადად, სამართლებრივად უაღრესად დისკრიმინაციული იყო. ამიტომ, როცა ასეთი არათანმიმდევრული, წინააღმდეგობრივი კანონპროექტის ინიცირებას ახდენ, რა თქმა უნდა, თავშივე გაქვს გაცნობიერებული, რომ პერსპექტივა არ ექნება. ამის საილუსტრაციოდ ის მაგალითი გამოდგება, როდესაც იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, სადაც განვიხილავდით ჩვენსა და მათ მიერ დაინიცირებულ კანონპროექტებს, საზოგადოებამაც ნათლად დაინახა, რომ ეს ორი პროექტი აბსოლუტურად სხვადასხვა იყო. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ კანონადქცეული ამნისტიის პროექტი სრულ თანხვედრაშია და სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმ ჩანაწერს, რომელიც მიშელის დოკუმენტითაა განპირობებული. ასევე, იზიარებს იმ სულისკვეთებას, რომელიც მიშელის დოკუმენტიდან გამომდინარეობს. შეთანხმება გულისხმობს, რომ გადაიფურცლოს ივნისის მოვლენები და აღნიშნულით ეს გარანტირებულია. საუბარია, რომ ამნისტია ყველას შეეხოს და ასეც ხდება. ასევე, გადაზღვეული გვაქვს, რომ ამნისტია არ შეეხება ისეთ კონვენციურ მუხლებს, როგორებიცაა: წამება, არაადამიანური მოპყრობა და ა.შ. ეს პროექტი, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს საზოგადოების კონსოლიდირებას, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ეს ფურცელი გადაიშალოს.

– ეს გასაგებია, მაგრამ ოპოზიცია აცხადებს, რომ კანონპროექტში არის მუხლი, რომლითაც ხელისუფლება ცდილობს, დამნაშავეები გაათავისუფლოს...

– ვის გულისხმობენ? ასე უსასრულოდ ხომ ვერ გაგრძელდება საუბარი?

– ისე, ნაციონალური მოძრაობა დოკუმენტს ხელს რომ არ აწერს, ამას როგორ აფასებთ?

– ნაციონალური მოძრაობა სხვა გალაქტიკის სფეროშია ჩარჩენილი და უტიფრად ამბობს, რომ არ აწერს ხელს მიშელის დოკუმენტს. ამით ცდილობს, ჩრდილი მიაყენოს და დისკრედიტირებული გახადოს... არ ეთანხმებიან დოკუმენტს, მის შინაარსს აკრიტიკებენ და ამავდროულად, მეორე ხელით ითხოვენ, ისარგებლონ იმ სიკეთეებით, რომელიც მიშელის დოკუმენტითაა გათვალისწინებული.

წარმოიდგინეთ, სრული ნონსენსია სამართლებრივადაც – ნაციონალური მოძრაობა არ არის ამ შეთანხმების მხარე და ითხოვს რაღაცის შესრულებას. აქედან გამომდინარე, ნაციონალური მოძრაობა ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ მოქმედებებში, რაც გულისხმობს სხვადასხვა რეფორმის ჯგუფის შექმნას, ვერ და არ ჩაერთვება ჩვენი მოთხოვნით. რადგან არ არის შეთანხმების მხარე, უფლებას არ მივცემთ, ჩაერთოს ამ პროცესში.

– ბატონო ალუდა, არჩევნები მოახლოვდა და საინტერესოა, რა ეტაპზეა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია? კანდიდატების დასახელებას როდის აპირებთ და რაც ყველაზე მეტად მაინტერესებს, როგორი მოლოდინი გაქვთ, არჩევნებში 43%-ს აიღებთ?

– 43%-ს კი არა, „ქართულ ოცნებას“, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, გაცილებით მეტის აღების რესურსი აქვს, 53%-საც კი ავიღებთ...

– კი, მაგრამ ამას რაზე დაყრდნობით ამბობთ?

– იმ ნაბიჯებითა და საქმეებით, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს და იმ მოქმედებებით, რომელსაც ახორციელებს პოლიტიკურ პალიტრაზე ოპოზიცია. დღეს, საქართველოს ჰყავს ისეთი ოპოზიცია, როგორიც არ უნდა ჰყავდეს, მაგრამ ეს არის ფაქტობრივი მოცემულობა და ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, საზოგადოებამ, თუნდაც ბოლო პერიოდში, ნათლად დაინახა ის პასუხისმგებლობა, რომელიც ავიღეთ და საზოგადოების წინაშე გვაქვს იმ გამოწვევებზე, რომელიც აქვს ჩვენს ქვეყანას და საზოგადოებას, ადეკვატურად ვუპასუხოთ.

– დიახ, საქართველოში ადამიანებს, მართლაც, ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ – კატასტროფულად გაზრდილი ფასები, ლარის ცუდი მდგომარეობა და ა.შ. ყველაფერ ამაზე, „ქართული ოცნება“ რა პასუხისმგებლობას იღებს?

– „ოცნება“ არის თანმიმდევრული. ბევრი ფაქტორი მოქმედებს და ჩვენ კარგად გვესმის, რეალობას ვუსწორებთ თვალს და შესაძლებლობიდან თუ გამოწვევებიდან გამომდინარე, ადეკვატურად ვმოქმედებთ, მაგრამ ოპოზიცია რას აკეთებს? – დესტრუქციის დღის წესრიგში რჩება და უწყობს საბოტაჟს ქვეყანას. ესაა განსხვავება და, რა თქმა უნდა, საზოგადოება ამას ნათლად შეაფასებს.

– მოკლედ, გაქვთ იმის თქმის საფუძველი, რომ ამ არჩევნებს მოიგებთ?

– კი, დამაჯერებლად.

– კეთილი. კანდიდატების დასახელებას როდის აპირებთ?

– ღირსეული კანდიდატები დასახელდებიან თავის დროზე. ჯერ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ წარუდგენია და შესაბამისად, ჩვენ გვეყოლება ყველა ქალაქში, რეგიონში მერობისა და საკრებულოს წევრობის ღირსეული კანდიდატები.

რას მოუტანს საქართველოს სომხეთ-აზერბაიჯანს შორის წარმატებული ფასილიტაცია – მამუკა არეშიძის შეფასებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

დიდი პოლიტიკის ბინძური, კულუარული თამაშების ანატომია

„საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის აქტიური ფასილიტაციისა და ევროპა-ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, ფილიპ რიკერის ჩართულობით, აზერბაიჯანულმა მხარემ, კონფლიქტის დროს დაკავებული სომხეთის 15 მოქალაქე გაათავისუფლა და, საქართველოს ტერიტორიის გავლით, ისინი საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ," – იუწყება მთავრობის ადმინისტრაცია. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აქტიური ჩართულობით, ასევე, შესაძლებელი გახდა სომხური მხარის მიერ, აზერბაიჯანული მხარისთვის დანაღმული ტერიტორიების შესახებ მნიშვნელოვანი მასალების გადაცემა.

„მსგავსი ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად დაეხმარება საერთაშორისო საზოგადოების მიზნებს, ხელი შეუწყოს რეგიონში პოლიტიკური და უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებას. მისასალმებელია, რომ საქართველო ამ პროცესის ნაწილია. დღევანდელი დღე მნიშვნელოვანი მაგალითი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მეზობლებს შორის არსებული რთული საკითხების გადასაჭრელად. საქართველო მომავალშიც მზად არის, საჭიროებისამებრ, შესაძლებლობების ფარგლებში, დაეხმაროს პარტნიორებს და აქტიურად ჩაერთოს პროცესებში, პირველ რიგში, ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტისას", – ნათქვამია მთავრობის განცხადებაში.

საქართველოში, მმართველი ძალა და ოპოზიციაც თანხმდება, რომ საქართველოს მედიატორობით სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მსგავსი ტიპის შეთანხმება გლობალური პოლიტიკური სურათის მნიშვნელოვანი დეტალია. სხვათა შორის, 14 ივნისს, ნატო-ს სამიტზე, ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა, სწორედ საქართველო იყო და ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ 14 ივნისს, ჩვენს ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით ეუთო-ს გენერალური მდივანი, ჰელგა მარია შმიდი ეწვია.

რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას, დასავლეთის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურების უწყვეტი ვიზიტების ფონზე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მედიატორის როლის წარმატებით შესრულება? – „ვერსია" კონფლიქტოლოგსა და კავკასიის საკითხების ექსპერტ მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– საქართველოს ჩართულობა ამ ტიპის სამუშაოში პირველი არაა. ეს 90-იან წლებშიც ხდებოდა. ქართული საზოგადოების წარმომადგენლები ამ საქმეში სხვადასხვა ფორმით, კეთილსინდისიერი თუ არაკეთილსინდისიერი მიზნით იყვნენ ჩართულნი, მაგრამ ეს იყო არაოფიციალური ჩართულობა. ამდენი წლის მერე კი პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოს ხელისუფლება ამ ფორმით ჩაერთო და ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა. ესაა იმ იდეის გაგრძელება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის დაწყებისთანავე წამოაყენა, რაც გულისხმობს მხარეებისთვის თბილისის, როგორც სამშვიდობო პლატფორმის შეთავაზებას. მაშინ მხარეებმა ეს ამბავი ყურად არ იღეს, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა სწორად გაიგეს ეს გზავნილი და ამ ფაქტორის გამოყენება ახლა გადაწყვიტეს.

– ბატონო მამუკა, რა როლს თამაშობს ყველაფერ ამაში დასავლეთი?

– რომ არ ყოფილიყო ჩვენი დასავლელი პარტნიორების ჩართულობაც, ეს ამბავი, რასაკვირველია, მხოლოდ საქართველოს ხელმძღვანელობის ჩართულობით არ მოხდებოდა. ვფიქრობ, ეს ტენდენცია უნდა შენარჩუნდეს. აქ საქმე მხოლოდ ტყვეების გაცვლაში არაა. აქაა მოლაპარაკების ფორმატების შექმნა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით – ეს იქნება ჰუმანიტარული აქციები განაღმვითი სამუშაოებისთვის თუ სხვა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ტერიტორიის ძალიან მცირე მონაკვეთი ორივე მხარეს აქვს დაკავებული, რომელიც კონფლიქტის ზონაშია. ეს არის ადგილი, სადაც სამივე საზღვარი ერთმანეთს კვეთს და დაახლოებით, სამი კილომეტრით არიან აზერბაიჯანელები შემოსული ჩვენს ტერიტორიაზე, სომხები, დაახლოებით, – 500 მეტრით. ეს იმისთვის ხდება, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით, ერთმანეთი აკონტროლონ. საქართველოს სახელმწიფო ამას მოთმინებით უყურებს და ჩვენი ეს პოზიცია რეალობიდან გამომდინარეობს.

საქართველოს შეუძლია, ორივეს მოსთხოვოს, გავიდნენ აქედან, მაგრამ ამას იტანს იმიტომ, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობები შეინარჩუნოს. მინდა, ბაქოშიც იცონდენ და ერევანშიც, რომ საქართველოს ხელისუფლება და მოქალაქეები ამას იმიტომ იტანენ, რომ ასეთი რთული ვითარებაა.

საქართველოს აქვს სრული უფლება, ასეთი ტიპის შეთავაზებები გააკეთოს, იყოს სამშვიდობო პლატფორმა.

– და ეს რას მოგვიტანს?

– თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, საქართველოს, როგორც ჰუმანიტარული და სამშვიდობო პოლიტიკის გამტარებლის როლი მხოლოდ რეგიონულ კი არა, არამედ, საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისითაც გაიზრდება.

აქ უდიდესი მნიშვნელობა ერთ ფაქტორს აქვს ანუ ყარაბაღის მოვლენებმა რეგიონში შემდეგი ცვლილებები განაპირობა – რუსეთი, რომელიც საქართველოდან, სამხედრო თვალსაზრისით, 2006 წელს იყო გასული და

შემდეგ, აზერბაიჯანიდანაც, თავისი სამხედრო პოლიტიკური წარმომადგენლებით სრულად დაბრუნდა რეგიონში. სამივე ქვეყანაში მას სამხედრო კონტიგენტი აქვს, ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სომხეთში ისედაც ჰქონდა ბაზები, ახლა კი დაბრუნდა აზერბაიჯანშიც.

ამასთან, 100-წლიანი პაუზის შემდეგ, თურქეთი სამხედრო პოლიტიკური წარმომადგენლებით დაბრუნდა სამხრეთ კავკასიაში. ყარაბაღის მოვლენებმა და შემდგომმა ვითარებამ ის განაპირობა, რომ დასავლეთის პოლიტიკური გავლენები ძალიან შეიზღუდა სამხრეთ კავკასიაში. დასავლეთმა, რასაკვირველია, დაბრუნება გადაწყვიტა და ამისთვის გადადგა ძალიან სერიოზული ნაბიჯები. პირველი და მთავარი ნაბიჯი იყო საქართველოში სტაბილური ვითარების შექმნის მცდელობა. მოგეხსენებათ, აქ პოლიტიკური კრიზისი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. ვიღაცას, შეიძლება, ეგონა, რომ დასავლეთში ქართველებზე გიჟდებიან და აქ სტაბილურობა ამიტომ უნდათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ დასავლეთს პლატფორმა სჭირდება, რათა შავი ზღვის რეგიონსა და კონკრეტულად სამხრეთ კავკასიაში გავლენები დაიბრუნოს. ამისთვის კი ერთადერთი ქვეყანა გამოდგება და ეს საქართველოა. ამიტომ არ წყდება ჩვენს ქვეყანაში ასეთი მაღალი რანგის ჩინოვნიკების ვიზიტები.

ამას დასავლეთისთვის ერთი ცუდი მომენტიც დაემთხვა – იძულებული გახდა, სამიტზე არ დაეპატიჟებინა საქართველო და უკრაინა, რაც პირველ რიგში, უკრაინის მოვლენების გამო მოხდა, რადგან უკრაინა, პრაქტიკულად, საომარ მდგომარეობაშია რუსეთთან, მაგრამ არ გამოდიოდა საქართველოს დაპატიჟება და უკრაინის – არა, ამიტომ საქართველოც შეეწირა ამ ამბავს და იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება ამას არ გაენაწყენებინა, ვიზიტი ვიზიტზე დაიწყო საქართველოში, რათა ეჩვენებინათ ქართველი საზოგადოებისთვის, რომ საქართველოს მიმართ, დასავლეთი მოკავშირეობის ტონს არ ცვლის. ამ ვიზიტების კონტექსტში, ძალიან მომგებიანი იყო ამ თემის გააქტიურება – თბილისი, როგორც სამშვიდობო პლატფორმა და საქართველოს ჩართვა, როგორც მედიატორისა, ყარაბაღის მოვლენებში.

ეს საქართველოს აძლევს უნიკალურ შანსს, პოლიტიკურ სივრცეში გამოჩნდეს ბევრად დიდი წონით, ვიდრე შეიძლება, გამოჩენილიყო ნებისმიერ სხვა ფორმატში. მაგალითად, ექვსეულის ფორმატში, რომელიც შემოგვთავაზეს თურქებმა და რუსებმა, იქნებოდა სამი დომინანტი და სამი მეორეხარისხოვანი სახელმწიფო. ეს ფორმატი კი, რომელსაც დასავლეთმა ხელი შეუწყო, პრაქტიკულად, ერთქვეყნიანია, უფრო სწორად, სამი ქვეყანაა, სადაც ერთი – საქართველო თამაშობს მედიატორის როლს არა უხეშად და ამბიციურად, არამედ, შეთავაზებით, რბილად, ჰუმანიტარული აქტივობებით.

– ბატონო მამუკა, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის გამძაფრებულ ინტერესს სამხრეთ კავკასიის მიმართ, მოვლენათა როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ?

– საქმე ისაა, რომ ჰუმანიტარული აქტივობებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძალიან რთული და უხერხულია. ახლა, ერთი შეხედვით, ისეთი არაფერი ხდება, რომ რუსეთი შეშფოთდეს და გადაირიოს, აქ ხომ ტყვეების გაცვლასა და განაღმვით სამუშაოებზეა ლაპარაკი, მაგრამ მეორე მხრივ, რასაკვირველია, რუსეთი საქართველოს აქტივობის უკან დასავლეთს ხედავს, ამიტომ შეეცდება, ამ პროცესს ხელი შეუშალოს, მაგრამ ტაქტიკური თვალსაზრისით, ჯერ რუსეთი მზად არაა, ჰუმანიტარულ აქტივობებს ხელი შეუშალოს.

დასასრული მე-6 გვერდზე

„ზოგი აგენტია და ზოგი მამაძაღლი!“

გიორგი გუგავა პარლამენტში შესულ ოპოზიციას უპირისპირდება

თათია გოჩაძე
598-43-50-34

8 ივნისს, პარლამენტში ენმ-ც შევიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შვიდთვიანი ბოიკოტი დასრულდა და „ლეიბორისტების“ გარდა, ყველა ოპოზიციური პარტია საკანონმდებლო ორგანოშია. „ისე არ აღმოჩნდეს, რომ სხვები შევიდნენ და მე გარეთ დავრჩე იმიტომ, რომ მე შესვლას არც ერთ ვარიანტში არ ვაპირებ“, – მართალია, ეს სიტყვები გუბაზ სანიკიძეს ეკუთვნის, რომელიც, სხვათა შორის, კოლეგებთან ერთად პარლამენტში შევიდა, მაგრამ შალვა ნათელაშვილს უფრო მოერგებოდა იმიტომ, რომ ის ერთადერთი დეპუტატია, რომელიც პირვანდელ სიტყვას არ ცვლის და პარლამენტში კატეგორიულად არ შედის. „ვერსია“ „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი გუგავას ესაუბრა:

– როდესაც გაურიგდები ოლიგარქს, სიტყვას გატეხ, გადააგდებ შენს გულმხურვალე მებრძოლ ამომრჩეველს... როცა კეთილდღეობაზე გაცვლი ხალხის ინტერესებს, შენც თანამონაწილე ხდები დანაშაულებრივი რეჟიმისა. ოლიგარქთან ბრძოლა შეიძლება მოიგოს მხოლოდ იდეამ და არა – მასთან ვაჭრობამ. სამწუხაროდ, ჩვენ ერთადერთი აღმოვჩდნით ამ ბრძოლაში, რომელმაც დაიცვა საკუთარი სიტყვა, არ გაცვალა არანაირ პრივილეგიაზე საკუთარი პრინციპი და თუ ამ პრონციპების ერთგული არ ვიქნებით, ხალხი არ დაგვიჯერებს, არ გამოგვყვება და ამ ბრძოლასაც ვერ მოვიგებთ. ოლიგარქმა იცოდა ამათი სულსწრაფობის, სულგაყიდულობის, გადამგდებობის შესახებ და იმიტომაც მოიქცა ასე, მაგრამ ამას ეწირება ქვეყნისა და ხალხის ინტერესი, ეს კი იწვევს იმედგაცრუებას და გულგატეხილობას ამომრჩეველში და ძნელია, ახლიდან გაჩნდეს ბრძოლის მუხტი, რომელიც დაუპირისპირდება ამ რეჟიმს.

– ახლა, როცა ყველა თქვენი კოლეგა პარლამენტშია, შალვა ნათელაშვილი ხომ არ ნანობს, რომ დეპუტატის მანდატზე უარი მხოლოდ მან თქვა და პარლამენტსგარეთ აღმოჩნდა?

– არ შეიძლება, ინანო პრინციპული პოზიცია, გულწრფელი ბრძოლა. გარეთ დარჩა გულგატეხილი ხალხი და შენ რით ხარ პრივილეგირებული, რომ მოირგო სავარძელი?! მეტსაც გეტყვით, ახლა განიხილავენ კანონპროექტს იმის შესახებ, რომ პარტიას, რომელიც პარლამენტში არ შევა, ართმევენ კომისიის წევრებს, სატელევიზიო დროს, დაფინანსებას და ა.შ. ამ ყველაფერს „ლეიბორისტულ პარტიას“ უკეთებენ და მიუხედავად ამისა, თავგანწირვაზე მივდივართ იმიტომ, რომ როცა სასწორზე შენი ხალხის ინტერესია, არ იცვლება ასეთი რაღაცები.

– მოკლედ, გამორიცხავთ „ლეიბორისტების“ პარლამენტში შესვლას?

– რა თქმა უნდა, გავაკეთეთ ამის შესახებ განცხადებები და არ გვჩვევია სიტყვის უკან წაღება. მათ კი ამ ბრძოლას უღალატეს, ზოგმა ფულის გამო, ზოგმა მდგომარეობის გამო და ზოგმა კი შიშით... შევიდნენ ივანიშვილის „ბუტკაში“, ითამაშეს მისი თამაში და არაფრით არ განსხვავდებიან მისი მარიონეტებისგან.

– ისე, სწორედ თქვენს ოფისში იკრიბებოდა ბოიკოტის დროს ოპოზიცია და ამის გამო, „ფანჩატურიც“ კი თქვენს პარტიას, როგორ აპირებთ ოპოზიციასთან ურთიერთობის გაგრძელებას?

– შეუძლებელია... დეტალებიც ვიცი, რომელიც არც პოლიტიკაში მოსულა, არც ადამიანობაში, არც კაცობაში, რაც ზოგმა იკადრა.

– რას გულისხმობთ, ბატონო გიორგი, რა იკადრეს ასეთი?

– იმის გამო, რომ გაგვეერთიანებინა ოპოზიცია, ბევრი საყვედურიც მივიღეთ საზოგადოების მხრიდან, მათთან რატომ ზიხართო... ამ ფორმატმა ბევრი ციხიდან დაიხსნა, ბევრი კი ციხეს გადაარჩინა და ერთი სიტყვაც არ თქვეს, როცა გარბოდნენ ხელის მოსაწერად. ეს რამე ურთიერთობაში, ადამიანობაში ჯდება?! მეტსაც გეტყვით, რიყეზე რომ შევიკრიბეთ და ხალხს მოვუწოდეთ, 15 მაისს გამოსულიყვნენ რეჟიმის წინააღმდეგ, იქ გამოდიოდნენ გულმხურვალე სიტყვით და საღამოს ვხედავდით, რომ ერთმანეთს ასწრებდნენ პრეზიდენტის სასახლეში შესვლას, რომ ხელი მოეწერათ იმ დოკუმენტზე! ასეთები უნდა ჩარეცხოს დრომ! ხალხმა აქცენტი უნდა გააკეთოს უფრო პრინციპულ, შეუვალ მებრძოლებზე. ისტორიას რომ გადავხედოთ, ვაჭრუკანებს, მსტოვრებსა და კარიერისტებს არასდროს შეუქმნიათ სახელმწიფო, ეს ჩვენი პირველი პრეზიდენტის სიტყვებია. ესენი ჩვეულებრივი კარიერისტები, ფულისტები არიან, ზოგი აგენტია და ზოგი მამაძაღლი!

– როგორც ვხედავ, გულდაწყვეტილი ხართ...

– რა თქმა უნდა, პიროვნული გულისწყვეტაცაა, ეს საკუთარი ხალხის ბრძოლაში მიტოვებას ნიშნავს. როცა გადააგდებ, მოატყუებ და დატოვებ ქუჩაში, რა ნამუსით შედიხარ პარლამენტში?! შემირცხვენია ასეთი პოლიტიკაც, თანამდებობაც და პრივილეგიებიც, მიმიფურთხებია ამ ყველაფრისთვის, თუ უპირველეს ყოვლისა, ადამიანად არ დარჩები! როცა ასეთი უზნეო ადამიანები ქმნიან პოლიტიკას, ამიტომაც ვართ ასეთ მდგომარეობაში!

რას მოუტანს საქართველოს სომხეთ-აზერბაიჯანს შორის წარმატებული ფასილიტაცია – მამუკა არეშიძის შეფასებები

მე-5 გვერდიდან

– ისიც უნდა აღნიშნოს, რომ დესტაბილიზაციის შექმნასთან დაკავშირებით, „დიდმა შვიდეულმა“ რუსეთი მკაცრად გააფრთხილა...

– რასაკვირველია, მაგრამ ამ გაფრთხილებას რუსეთი ერთ ყურში უშვებს და მეორეში ატარებს. აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსი – სომხურმა მხარემ რუსეთს არაერთხელ სთხოვა დახმარება ტყვეების დაბრუნებაში, პუტინსაც კი დაჰპირდა ალიევი, გავაკეთებო, მაგრამ...

– რუსეთმა ეს ვერ შეძლო თუ არ მოინდომა?

– ვაჭრობა მიდის... რუსეთს ხმამაღალი, დეკლარირებული მოთხოვნა არ ჰქონია. ეს ხდებოდა კაბინეტებიდან კაბინეტებში დარეკვით. მართალია, აზერბაიჯანის ხელისუფლებას შეეძლო, ანგარიში გაეწია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ეს მოხდა და ზოგ შემთხვევაში – არა. თითო-ოროლა კაცი გამოუშვეს რუსეთის მოთხოვნით, მაგრამ, ინიციატივის წართმევა მოხდა ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების მხრიდან. ესაა დეკლარირებული, გაჟღერებული, გარკვეულწილად, თეატრალური ელემენტებით შემკობილი გამოყვანა, ამ შემთხვევაში... ასეთია პოლიტიკა, აქ ხომ მარტო კეთილი განზრახვების დემონსტრირება არ ხდება? აქ არის კულუარული თამაშები, პოლიტიკისთვის დამახასიათებელი სიბინძურით.

– ნატო-ს სამიტზე, საქართველო განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. ყველაფერ იმას თუ გავითვალისწინებთ, რაზეც ისაუბრეთ, შესაძლებელია, რეალური გახდეს ჩვენი ნატო-ში ინტეგრაციის საკითხი?

– ჯერ ფრთხილი ვიქნები ამ შეფასებაში. უნდა გავაკეთოთ ანალიზი და შემდეგ გადავწყვიტოთ, ამ ეტაპზე რა გვირჩევნია – ნატო-ში გაწევრიანება თუ ნატო-სკენ სწრაფვის პროცესი?

– ანუ, ახლა შესაძლოა, პროცესი უფრო სარგებლის მომტანი იყოს?

– ამ სიტუაციაში, უფრო სარგებლის მომტანია, განსაკუთრებით, უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რუსეთი არ შეურიგდება უკრაინისგან ნებისმიერ სამხედრო ნაბიჯს სეპარატისტების მიმართ. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს მასშტაბური ომი. უკრაინას კონცენტრირებული ჰყავს აღმოსავლეთ საზღვრებთან, დაახლოებით, 100 000 მებრძოლი, საკმაოდ სერიოზული შეიარაღებით. უკრაინის სამხედრო მრეწველობა მუშაობს მაღალ ტემპში და დიდი შედეგით. ეს კი ნიშნავს, რომ სამხედრო აქტივობის შემთხვევაში, დასავლეთი რაღაც ფორმით იძულებული იქნება, ჩაერიოს. ეს ამბავი კი დასავლეთს არ აწყობს. ეს ხომ უნდა გავიგოთ და მივხვდეთ? იგივე იქნება საქართველოს შემთხვევაშიც, დღევანდელი რუსეთი, მიუხედავად სანქციებისა, არაა ისეთ მდგომარეობაში, რომ მარტივად დათმოს სამხერთ კავკასია ან უკრაინა, ამიტომ ჯერ ამ პროცესს დავჯერდეთ, რომელიც არის. პროცესის გადახედვა ყოველთვის შეიძლება, მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა კი ყოველთვის ძნელია. მოკლედ, ასეთ ვითარებაში, ამ ტიპის აქტივობა, რომელიც დღესაა, სავსებით სარგებლიანია ქვეყნისთვის. რასაკვირველია, ნატო-ში გაწევრიანება კარგია და ჩვენი ჩრდილოატლანტიკური ვექტორი მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტაქტიკური სვლები არ გვქონდეს და სიტუაციას არ მოვერგოთ.

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვაში დარღვევებია აღმოჩენილი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის დასკვნა მსოფლიო ბანკს წარედგინება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური შიდასახელმწიფოებრივი გზებით დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც უწყებამ გამოაქვეყნა, აქტივების მართვის პროექტის ეფექტიანობას ეხება. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ამ პროექტს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ აუდიტი 2019 წლის მაისს 2020 წლის ივლისში მიღებული წერილების საფუძველზე დაიწყო და 2018-2019 წლები მოიცვა. უკვე ცნობილია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამოუკიდებელი აუდიტის დასრულების შემდგომ, ამ დასკვნას გზების დეპარტამენტი მსოფლიო ბანკს წარუდგენს და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტით გათვალისწინებული თანხის სესხად აღიარებას მოითხოვს.

ვიდრე იმ დარღვევებს გაგაცნობთ, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს გზების დეპარტამენტის სახით, 2016 წელს, შედეგზე დაფუძნებული შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი დაიწყო. ეს პროექტი 2021 წლის 31 დეკემბრამდე უნდა განხორციელდეს. პროექტი დაფინანსებულია საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის -„იბიარდის“ მიერ გაცემული სესხით.

„პროექტის მიზნებია: გზით მოსარგებლეებისთვის სოციალურ სერვისებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის მდგრადი ფორმით გაუმჯობესება, ასევე, პროექტით გათვალისწინებული გზების საშუალებით, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის აქტივების მართვის გაუმჯობესება. 2016 წლის 28 მარტით დათარიღებული სასესხო ხელშეკრულების თანახმად, გზების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს პროექტის დამოუკიდებელი მონიტორინგი და შეფასება დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებით. ამ მიზნით, მსოფლიო ბანკმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დაავალა დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტის ჯგუფმა, პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების გადამოწმების მიზნით, შეისწავლა შუალედური ფინანსური ანგარიშები, საგადახდო დავალებები, ინვოისები და ხელმოწერილი კონტრაქტები. აუდიტის ჯგუფმა, კონსულტანტის მიერ შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული საგზაო კონტრაქტების საფუძველზე, პროექტით გათვალისწინებული გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვისთვის მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციაც განიხილა. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ზედამხედველი კონსულტანტის ყოველთვიური ანგარიშები, შუალედური გადახდის სერტიფიკატები ექვსი გზის მონაკვეთის პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტისთვის და მათი შესაბამისობა პროექტის მართვის სახელმძღვანელოსთან, აგრეთვე, პროექტის შეფასების დოკუმენტთან.

ამასთან, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა კლიმატური ცვლილებების მიმართ მდგრადობისკენ მიმართული პრიორიტეტული ღონისძიებების შესყიდვის პროცესი; განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, საკომპენსაციოდ გადახდილი თანხები და გზების უსაფრთხოების ინტეგრაცია აქტივების მართვის პროცესში. აუდიტორებმა განიხილეს განახლებული ხუთწლიანი პროგრამისა და მესამე და მეოთხე წლებისთვის მომზადებული გეგმის შესაბამისობა „გზების აქტივების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის მრავალწლიანი გეგმის მომზადების სახელმძღვანელოსთან“. რაც მთავარია, დამოუკიდებელი აუდიტი წინასწარ განსაზღვრული სამუშაო დავალების შესაბამისად ჩატარდა:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის მიხედვით, 2018 და 2019 წლებისთვის, სესხის გამოყოფასთან დაკავშირებული ინდიკატორები სრულად არ არის მიღწეული! ამ ინდიკატორების მიზნების მიღწევის პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე, დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიშის მიხედვით, 2018 წლისთვის – 6 475 592 აშშ დოლარის, ხოლო 2019 წლისთვის – 4 636 148 აშშ დოლარის სესხად აღიარებაა რეკომენდებული“.

დამოუკიდებელი აუდიტის შედეგად ორი მიმართულება გამოვლინდა, სადაც საქმიანობა უნდა გაუმჯობესდეს: პირველი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაადგინა, რომ გზების დეპარტამენტი არ ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი გზების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას. ამრიგად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ სასურველია, გზების დეპარტამენტმა დანერგოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გზების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას მათი პერიოდული მოვლა-შენახვის სამუშაოების დაწყებამდე; მეორე – სამშენებლო სამუშაოები გზის ერთ მონაკვეთზე წინასწარ დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელდა. შედეგად, კონტრაქტორებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო ოფიციალური სახელმძღვანელო მითითებები. აუდიტორების მტკიცებით, ეს ხელს უშლის სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტურ კონტროლს და ზედამხედველის მიერ სამუშაოების მიმდინარეობის შეფასებას.

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის მიზნებია: გზით მოსარგებლეებისთვის სოციალურ სერვისებსა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობის მდგრადი ფორმით გაუმჯობესება, ხოლო პროექტით გათვალისწინებული გზების საშუალებით, საქართველოში შიდასახელმწიფოებრივი გზების ქსელის აქტივების მართვის გაუმჯობესება. რაც მთავარია, 2016 წლის 28 მარტით დათარიღებული სასესხო ხელშეკრულების თანახმად, გზების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს პროექტის დამოუკიდებელი მონიტორინგი და შეფასება დამოუკიდებელი ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებით. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ამ პროექტში სერიოზული ხარვეზებია:

„ზედამხედველის ყოველთვიური ანგარიშების თანახმად, თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზაზე სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა წინასწარ დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე. შესაბამისად, კონტრაქტორებისთვის მშენებლობის ოფიციალური სახელმძღვანელო მითითებები არ იყო ხელმისაწვდომი. შედეგად, ვერ მოხერხდა სარეაბილიტაციო პროცესის ხარისხის ეფექტური კონტროლი და ზედამხედველის მიერ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესის შეფასება. ეს ნიშნავს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცების პროცესის მართვაში, სერიოზული ხარვეზები იყო. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა ის იყო, რომ სახელმწიფო აუდიტორთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა დოკუმენტაცია, რომელიც ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის განახლებაში უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩართულობას დაადასტურებდა. გზების დეპარტამენტის განმარტებით, ხელმძღვანელი პირები მონაწილეობენ გეგმის მომზადების პროცესში, თუმცა მათი გადაწყვეტილებები არ არის დადოკუმენტირებული. შედეგად, მომზადების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა ხუთწლიანი პროგრამისა და წლიური გეგმის მთავარი პრიორიტეტების, კრიტერიუმებისა და ცვლილებების შესახებ ხელმძღვანელობის ინფორმირებულობაზე დაკვირვება და შეფასება“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ამ პროექტში სხვა ხარვეზებიც გამოალინეს. ასე, მაგალითად, გზების სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებულია და დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის, შესრულებული სამუშაოების ტიპზე, საავტომობილო ნაკადის ინტენსივობასა და ადგილობრივ კლიმატზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ისიც გაარკვია, რომ გზების დეპარტამენტის მიერ წლიური გეგმის შემუშავების პროცესში, შიდასახელმწიფოებრივი გზების სავარაუდო, სასარგებლო მომსახურების ვადა არ ფასდება. შედეგად, გზების დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა დაასაბუთოს, ირჩევს თუ არა საუკეთესო ვარიანტს მოვლა-შენახვას, პერიოდულ მოვლა-შენახვასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებს შორის.

რა წესების დაცვა მოუწევთ აბიტურიენტებს

ყველაფერი წლევანდელ ეროვნულ გამოცდებზე

ემილი ფეიქრიშვილი

2021 წლის 1 ივლისს, 25 საგამოცდო ცენტრში, ეროვნული გამოცდები დაიწყება. პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდება, შემდეგ – უცხო ენაში, მათემატიკაში ან ისტორიაში. ზოგიერთი პროგრამის მიხედვით, აბიტურიენტი დამატებით მეოთხე არჩევით საგანს ჩააბარებს. ეროვნული გამოცდები 1-დან 20 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება. 14-დან კი მოქმედი და მასწავლებლობის მსურველთა ტესტირება იწყება. 28 ივლისს, საგრანტო კონკურსი გაიმართება, მაგისტრების გამოცდა კი 27-ში დაიწყება და 30 ივლისამდე გაგრძელდება.

საგამოცდო კოვიდრეგულაციები

საგამოცდო სექტორებში, თითოეულ მაგიდასთან სპეციალური, დამცავი ბარიერი განთავსდება, რათა რეგულაციების მიხედვით, ორმეტრიანი დისტანცია იყოს დაცული. ერთ სექტორში, 15-ის ნაცვლად, მხოლოდ 10 აპლიკანტი განაწილდება.

გამოცდაზე შესვლამდე, ყველა აბიტურიენტი თერმოსკრინინგს გაივლის. მათთვის, ვისაც აღენიშნება ტემპერატურა, ორი ტიპის სივრცე იმის მიხედვით მოეწყობა, თუ რა სიმპტომები ექნება აბიტურიენტს.

სექტორებში გაგრილების სისტემა დამონტაჟდება, რომელსაც მხოლოდ მაშინ ჩართავენ, თუ 30 გრადუსზე მეტი ტემპერატურა დაფიქსირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონდიცირების სისტემა არ ჩაირთვება!

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, „გამოცდები 2021“-ის მთავარი სიახლე იქნება ის, რომ სამოგამოცდო პროცესს არ გამოეთიშებიან ის აპლიკანტები, რომელთაც კორონავირუსი დაუდასტურდებათ. უწყების ცნობით, ისინი შესაბამის გამოცდას არა უადრეს ორი კვირის ვადაში ჩააბარებენ.

მინიმალური ზღვარი საგნებში და საგამოცდო ბარათები

მინიმალური ბარიერი ერთ საგანშიც არ შეცვლილა. ამ ეტაპზე, სამი საგანია სავალდებულო: ქართული და უცხო ენის გარდა, აბიტურიენტი მათემატიკას ან ისტორიას ჩააბარებს იმის მიხედვით, თუ რა მიმართულების ფაკულტეტებს აირჩევს.

რაც შეეხება ზოგად უნარებს, ეს უკვე არასავალდებულო საგანთა ნუსხაშია და ზოგიერთი პროგრამა, როგორც მეოთხე საგანს, უნარებში გამოცდასაც ითხოვს.

საინტერესოა, როგორ აიღებენ საგამოცდო ბარათებს აბიტურიენტები. 20 ივნისის შემდეგ, ამ ბარათებს ისინი პირად გვერდზე აიღებენ ანუ იქ, სადაც საგამოცდო რეგისტრაცია გაიარეს. ამის შემდეგ, აბიტურიენტმა ბარათი უნდა ამობეჭდოს, რომელსაც პირადობის მოწმობასთან ერთად, გამოცდაზე წარადგენს.

ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამასა და გამოცდებში

აბიტურიენტებს შესაძლებლობა აქვთ, უნივერსიტეტების ჩამონათვალში ცვლილებები აპელაციის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, მომდევნო დღის 18:00 საათამდე განახორციელონ. ეს ნიშნავს, რომ მთელი ივლისის განმავლობაში, მათ საშუალება ეძლევათ, პროგრამების სიაში კორექტირება შეიტანონ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წელს, პირველად, „სპეციალური მასწავლებლის“ გამოცდა ჩატარდება. საგამოცდო ტესტი უნარებში ითვალისწინებს სპეც.მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რომელზე დაყრდნობითაც, საგამოცდო პროგრამა წინასწარ შემუშავდა. ეს პროგრამა მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება პოზიტიურ, მოსწავლეზე ორიენტირებულ, უსაფრთხო გარემოს შექმნას, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიისა და სასწავლო რესურსის გამოყენებას, შეფასებასა და მასწავლებლის პროფესიულ პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ ტესტირებაზე რეგისტრაცია ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

შშმ პირებისთვის განკუთვნილი სივრცეები პანდემიის პირობებში

ყველა შშმ პირს, რომელსაც 15 აპრილამდე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე წარდგენილი აქვს „ფორმა 100“ განცხადებასთან ერთად, შეექმნებათ შესაბამისი პირობები.

„მათ უკავშირდებიან ჩვენი განყოფილებიდან და ვაზუსტებთ, თუ რა პირობები სჭირდება კონკრეტულ აბიტურიენტს. ამდენად, ამ მხრივ, მათ არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ და საგამოცდო სექტორი მათთვისაც კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით მოეწყობა“, – განუცხადეს „ვერსიას“ ცენტრში.

წარდგენილი „ფორმა 100“-ის საფუძველზე, შესაძლებელია, სარეზერვო სექტორი ცალკე გამოიყოს. ნებისმიერ შემთხვევაში, შშმ პირების საჭიროების მიხედვით, საგამოცდო ცენტრი ყველა მოთხოვნას გაითვალისწინებს.

გამოსაშვები გამოცდები სკოლებში

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, მსჯელობა არ ყოფილა. თუმცა შესაძლებელია, რომ უახლოეს პერიოდში, ეს საკითხი სამინისტრომ განიხილოს და მომდევნო წლებში, საატესტატო გამოცდების ჩაბარება ისევ ძალაში შევიდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს FBI-ს ტრენერებმა გადამზადების კურსი ჩაუტარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტების წარმომადგენლებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციის (DEA) მიერ ორგანიზებული, ხუთდღიანი გადამზადების კურსი დასრულდა. ტრენინგი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით ჩატარდა.

სასწავლო კურსის დახურვის ღონისძიებას საქართველოში, ამერიკის შეერთებული შტატების მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, რაიან ჰარკერ ჰარისი, ნარკოტიკების ბრძოლის ადმინისტრაციისა (DEA) და აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ და ტრენინგის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

სწავლებას გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ტრენერები უძღვებოდნენ. ამერიკელმა სპეციალისტებმა ქართველ სამართალდამცველებს საცეცხლე მომზადების, ჩხრეკისა და შეღწევის თანამედროვე მეთოდების, ტაქტიკური მედიცინისა და ნარკოდანაშაულთან ბრძოლის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს.

ტრენინგის მიზანი იყო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, თანამედროვე მეთოდების გაანალიზება და ამ მიმართულებით, ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი უწყებების გამოცდილების გაზიარება.

სამართალი

№20 16 ივნისი 2021 წ

ბურუსით მოცული მკვლელობის მთავარი მოწმე საკუთარ სადარბაზოსთან მოკლეს

რატომ ვერ გახსნეს სამართალდამცავებმა დანაშაული – თაროზე შემოდებული საქმის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

90-იანი წლები საქართველოს უახლესი ისტორიის შავ ლაქად მუდმივად დარჩება. გარდა იმისა, რომ სამოქალაქო თუ სამამულო ომმა რამდენიმე ათასი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, არანაკლები კრიმინალურ გარჩევებსა თუ ნარკოტიკებს ემსხვერპლა. „დაკარგული თაობა“ – შეიძლება, ასე შევაფასოთ ის წლები, როცა საუბედუროდ, ახალგაზრდა – 20-21 წლის ბიჭების სიკვდილს ისე მივეჩვიეთ, რომ აღარავის გვიკვირდა. სამწუხაროდ, მაშინ სამართალდამცავები მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგნენ და ეს გასაგებიც იყო – მოსახლეობაში ძალიან ბევრი უკანონო იარაღი გავიდა. ამას ისიც დაემატა, რომ კრიმინალურ დაჯგუფებებს ცალკე შეიარაღება ჰქონდათ, მათ შორის, საბრძოლო ტექნიკაც და სამართალდამცავებს წინააღმდეგობას, როგორც ცოცხალი ძალით, ასევე, იარაღითაც უწევდნენ. არაერთხელ ყოფილა, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილებსაც კი საძმოები თუ უკანონოდ შეიარაღებული ბანდ-ფორმირებები, პირდაპირ, მილიციის განყოფილებებიდან ათავისუფლებდნენ.

„იმ პერიოდის გახსენება ერთ სამართალდამცავსაც არ სიამოვნებს. უფლება არაფრის გვქონდა, დღის წესრიგს, პრაქტიკულად, „კანონიერი ქურდები“ და კრიმინალური ავტორიტეტები ადგენდნენ. ჩვენი სიცოცხლე ქათამზე იაფი ღირდა – ნებისმიერს შეეძლო, სასხლეტისთვის თითი გამოეკრა, თან იმის შეგრძნება ჰქონოდა, რომ ამისთვის არ დაისჯებოდა, ამიტომ სამართალდამცავები, უბრალოდ, გადარჩენას ცდილობდნენ და მაქსიმუმს აკეთებდნენ, რომ რიგითი ადამიანებისთვის ყოფა შეემსუბუქებინათ, მაგრამ როცა ქუჩაში ავტომატმომარჯვებული ხალხი დგას, ზოგადად, ყოფაზე საუბარი ძნელია“, – მძიმედ იწყებს საუბარს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

იმ დროს მატარებელიც იშვიათად დადიოდა და თუ დადიოდა, ხალხს „რეკეტიორები“ იქაც არ ასვენებდნენ, ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა ერთ-ერთი რეისის დროს, ვაგონში მკვდარი კაცი იპოვეს. გარდაცვლილი 30 წლამდე იქნებოდა და გულის მხარეს, ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობა ეტყობოდა. მერე, ექსპერტი იტყვის, რომ მამაკაცი დაახლოებით, 20-25-სანტიმეტრიანი რკინის იარაღით მოკლეს, რომელსაც მახვილი წვერი ჰქონდა და დიამეტრით ნახევარი სანტიმეტრიც არ იყო, მაგრამ მეტალი საკმაოდ მყარი გახლდათ, რადგან ნეკნებს შუა უპრობლემოდ გაიარა. გარდაცვლილს არაფერი ჰქონდა, ერთი უცნაური რკინის ყუთის გარდა. რკინის ყუთს რაღაც ნათურები და ჩამრთველი ჰქონდა დამონტაჟებული. რადგან მილიციის თანამშრომლებმა ვერაფერი გაიგეს, უშიშროებას გადასცეს. თავიდან ისიც კი ივარაუდეს, რომ მოკლული უცხო ქვეყნის ჯაშუში იყო, ყუთი – საიდუმლო რაცია, თუმცა უშიშროებამ დასკვნა დადო – ყუთი ხელნაკეთია და მომღერლები ხმის გასაძლიერებლად იყენებენო.

ეგ იყო, ყუთის აწყობის დროს, ისეთი დეტალები იყო გამოყენებული, რომელიც მარტივად არ იშოვებოდა და დახურულ ობიექტებზე იყენებდნენ, ამიტომ უშიშროებამ საქმე შსს-ს კი დაუტოვა, მაგრამ კონტროლზე აიყვანა. დაკითხეს ყველა, ვინც იმ დროს ვაგონში იმყოფებოდა და რაც მთავარია, დაკითხეს გამცილებელი, რომელმაც თქვა, რომ კაცი მატარებელში მარტო არ ასულა და ორი ბიჭი ახლდა. გამცილებელი ერთ-ერთს იცნობდა და მისი გვარ-სახელიც კი თქვა.

„როცა შინ მივაკითხეთ, სამზარეულოში იჯდა და ჩაის წრუპავდა. მერე გავიგე, 19 წლის იყო და ჩვენი დანახვისთანავე ატირდა, მე არ მომიკლავსო. მივხვდით, რომ რაღაც იცოდა და ამიტომ განყოფილებაში წავიყვანეთ. გზაში მეორე მეგობრის სახელიც თქვა და, რაღა თქმა უნდა, ისიც დავაკავეთ. დაკითხვაზე ორივემ თქვა, რომ დამწყები მომღერლები იყვნენ, გარდაცვლილი კონცერტის გამართვას დაპირდა, ოღონდ შემოსავლის 70% მისთვის უნდა მიეცათ. რა თქმა უნდა, დათანხმდნენ, რადგან მათთვის მთავარი სცენაზე დგომა იყო და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს სცენა ფილარმონია იქნებოდა თუ სოფლის კლუბი. ვაგონში ერთად ჩასხდნენ, ერთ-ერთ სოფელში მიდიოდნენ, მაგრამ უსაქმურობის გამო, ვაგონიდან ვაგონში სიარული დაიწყეს, შემდეგ ის ბიჭი, რომელიც პირველად დავაკავეთ, უკან დაბრუნდა, დაინახა, მათი კუპედან როგორ გამოვიდა ვიღაც კაცი, როგორ შეინახა ქურთუკის შიგნითა ჯიბეში რაღაც გრძელი, მავთულისმაგვარი მეტალი, რომელსაც ტარიც ჰქონდა და როგორ წავიდა მეორე მხარეს. კუპეში შესულმა ბიჭმა „პროდიუსერი“ გარდაცვლილი ნახა, შეეშინდა, მეგობარს უთხრა და ორივემ გაქცევა გადაწყვიტა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

იმის მიუხედავად, რომ იმხანად, ღამის, ყოველ მეორეს ქურდობა უნდოდა და ძველბიჭობდა, მაშინდელ მილიციას აგენტურული ქსელი მაინც ჰქონდა აწყობილი. სწორედ აგენტურული ქსელის მეშვეობით გაიგეს გამომძიებლებმა, რომ გარდაცვლილს ოქროს ხელები ჰქონდა – ისეთ მუსიკალურ ინსტრუმენტებს აწყობდა, ხელიდან სტაცებდნენ, მისი ნოუ-ჰაუ იყო გამაძლიერებლებიც და სად შოულობდა ნაწილებს, არავინ იცოდა. ერთი შეხედვით, არაფრისმაქნისი ყუთი 3 ათასი მანეთი ღირდა. მართალია, მაშინ ფული უკვე გაუფასურებული იყო, მაგრამ არა ისე, 3 ათასი მანეთი არაფრად ჩაგეგდო. ეს საკმაოდ მსუყე თანხა გახლდათ. აგენტურული ქსელისგან მილიციამ ისიც გაიგო, რომ გარდაცვლილი ერთ-ერთი უბნის „კრიმინალურ ავტორიტეტთან“ მეგობრობდა და როცა ძვირადღირებული ნაწილების შესაძენად ფული არ ჰქონდა, სწორედ მისგან სესხულობდა, სანაცვლოდ კი, უფრო მეტს აბრუნებდა.

„ფრთხილად დავიწყეთ გამოკითხვა და გავარკვიეთ, რომ ბოლოს, გარდაცვლილმა კრიმინალებისგან 20 ათასი ისესხა. ეს სოლიდური თანხა გახლდათ, დაბრუნებას კონკრეტულ რიცხვში აპირებდა, თუმცა ვერ მოახერხა. არადა, კრიმინალების მეთაურს „თავანი“ ჰქონდა ჩასაბარებელი, ამიტომ, ღამის, მთელი თბილისი გადააატრიალეს, საჭირო თანხა რომ ეშოვათ. ამის შემდეგ, მისი დასჯა გადაწყდა“,-იხსენებს ბატონი თენგიზი.

გამოძიების ინფორმაციით, კრიმინალების გუნდში ერთი ყოფილი მოფარიკავე იყო. სამართალდამცავთა ყურადღება მან იმიტომ მიიპყრო, რომ მამაკაცი, სწორედ ფარიკაობისთვის განკუთვნილი დაშნისმაგვარი ცივი იარაღით იყო მოკლული. სავარაუდო ეჭვმიტანილი იმ ბიჭს ანახეს, რომელიც პირველად დააკავეს და ის კაცი ამოიცნო, რომელიც იმ დღეს კუპედან გამოსული დაინახა. პროკურორმა ბინის ჩხრეკის სანქცია გასცა და ეჭვმიტანილს შუაზე გადატეხილი დაშნა უპოვეს. მეორე ნატეხს კი, რომლითაც სავარაუდოდ მკვლელობა მოხდა, ვერსად მიაგნეს.

დაკავებულიც ხელებს შლიდა, რა მკვლელობა, ცხოვრებაში ჭიანჭველისთვისაც კი არ დამიდგამს ფეხიო. გამოძიება მთავარი მოწმის იმედად იყო, იმ ბიჭის, რომელმაც მკვლელი დაინახა და ეს სასამართლოსთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, გამოძიება მთავარი მოწმის ვინაობას საგულდაგულოდ მალავდა, თუმცა...

„მაშინ კი არა, ახლაც ჟონავს ინფორმაცია ძალოვანი უწყებებიდან და არეულ წლებში ყველაფრის გაგება მარტივი გახლდათ. ინფორმაცია კი არა, ასი დოლარი რომ მიგეცა ვინმესთვის, პირად საქმესაც კი მოიპარავდა და გაჩუქებდა. ასე მარტივად გაიგეს ჩვენი მოწმის სახელიცა და გვარიც“, – ნაღვლიანად გვიყვება ბატონი თენგიზი.

სასამართლომდე თბილისში კიდევ ერთი, ბურუსით მოცული მკვლელობა მოხდა – გამოძიების მთავარ მოწმეს, სადარბაზოსთან ვიღაცამ თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა, თან რამდენჯერმე და ადგილზე მოკლა. მკვლელი არავის დაუნახავს და გამოძიებას მტკიცებულება აღარ ჰქონდა, ამიტომ საქმე, როგორც გაუხსნელი, ისე შემოდეს თაროზე, ეჭვმიტანილი კი, უბრალოდ, გაათავისუფლეს.

მართალია, სიტუაციის მეტ-ნაკლებად დასტაბილურების შემდეგ, სავარაუდო მკვლელი სხვა საქმეზე დაიჭირეს, მაგრამ ძველ დანაშაულზე პასუხი არავის მოუთხოვია და ციხეში, სულ რაღაც, 3 წელი გაატარა.

„სამწუხაროდ, ასეთი საქმე ძალიან ბევრია. მთელმა თბილისმა კი არა, მთელმა საქართველომ იცის მკვლელების სახელები და გვარები, მაგრამ საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო, საქმეები, უბრალოდ, არ იხსნება და არქივში დევს. სავარაუდოდ, ისინი არასდროს გაიხსნება, მკვლელები კი თავისუფლად ივლიან და თვალებშიც თამამად შემოგვხედავენ. ხანდახან მგონია, რომ დაავიწყდათ ჩადენილი დანაშაულები, თავადაც დაიჯერეს, რომ რადგან მტკიცებულება არ არის, ე.ი. არაფერი ჩაუდენიათ“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

სრულიად წარმოუდგენელი სიმართლე – სპეცსამსახურისა და „კანონიერი ქურდების“ საიდუმლო თათბირი

ბათო ჯაფარიძე

ვინ იყო „მონღოლი“ – მასალები „კა-გე-ბე“-ს საიდუმლო არქივიდან

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, საბჭოთა კავშირის უშიშროების არქივის ყველაზე საგულდაგულოდ დაცულ სეიფში ინახებოდა. როგორი საქმეა, ამ „ქეისში“ შავით თეთრზე ეწერა, რომ „კანონიერი ქურდები“ ძლევამოსილი „კა-გე-ბე“-ს თანამშრომლებს ოფიციალურად შეხვდნენ. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ქურდებმა ამის სურვილი გამოთქვეს და ყოყმანის შემდეგ, უშიშროება ამ ავანტურას დასთანხმდა.

ყველაფერი კი 1972 წელს მოხდა. მოსკოვში, ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში, მაგიდის ერთ მხარეს „კა-გე-ბე“-ს წარმომადგენლები (ყველაზე დაბალი ჩინი პოლკოვნიკი) ისხდნენ, მეორე მხარეს – „კანონიერი ქურდები“.

„ვაღიარებთ, რომ ბოლო დროს გააქტიურდა უცხო ქვეყნის აგენტურა, რომელიც ცდილობს ჩვენ, „კანონიერი ქურდები“, მაფიოზებად გვაქციოს და საბჭოთა კავშირში დაიწყოს იგივე, რაც აშშ-ში, მეოცე საუკუნის დასაწყისში ხდებოდა – განგსტერების ომი, ქურდების ნაცვლად, კლანური ოჯახების ჩამოყალიბება და ა.შ. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ და ორგანიზებულ ბანდიტიზმს თქვენთან ერთად ვებრძვით. ეს არ გვაწყობს არც ჩვენ, არც – თქვენ და არც – ქვეყანას. უნდა აღიაროთ, რომ წესრიგს საბჭოთა კავშირში, ძალოვნებთან ერთად, სწორედ ჩვენ, „კანონიერი ქურდები“ ვამყარებთ“, – ასეთი იყო კრიმინალური სამყაროს მეთაურთა საუბრის შინაარსი.

უშიშროების თანამშრომლები თავიდან ვერც კი მიხვდნენ, რა სურდათ კრიმინალურ ავტორიტეტებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ აკონტროლებდნენ ყველას და ყველაფერს, მაგრამ როცა ერთ-ერთმა „კანონიერმა ქურდმა“, ვინმე გენადი კარიკოვი ახსენა, იქ მყოფმა ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს. მიხვდნენ, არავინ არაფერი იცოდა. შეხვედრა დასრულდა და კარიკოვის პერსონის გარშემო მუშაობაც დაიწყეს.

41 წლის მამაკაცი, მრავალჯერ ნასამართლევი კარიკოვი, უშიშროების ყურადღების ქვეშ არ იყო მოხვედრილი. მას „მონღოლს“ ეძახდნენ და როცა „კა-გე-ბე“ დეტალებს ჩაუჯდა, მიხვდა – ჩინგიზ ყაენის შემდეგ, კარიკოვი, სავარაუდოდ, ყველაზე სისხლისმსმელი მონღოლი იყო. ძალოვნები იმასაც მიხვდნენ, რეალურად რა აწუხებდათ „კანონიერ ქურდებს“ – „მონღოლი“ მთელ მოსკოვსა და ლენინგრადს აზანზარებდა, მისი ბანდის წევრები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ, რაც მთავარია, არცერთი მათგანი არანაირ ქურდულ წესებს არ სცნობდა და შესაბამისად, რამე არც „ობშიაკში“ შეჰქონდათ. ისინი საქმოსნებს ფულს სძალავდნენ, თავის მხრივ, საქმოსნები ქურდებს ეუბნებოდნენ, დაგვეხმარეთო, მაგრამ „ზაკონნიკები“ „მონღოლის“ წინააღმდეგ უძლურნი გახლდნენ.

მაგალითისთვის, ვალდემარ მირკინი მოსკოვში ყველაზე ცნობილი ანტიკვარიატის მაღაზიის შეფი იყო. ოფიციალური მილიონერი ქურდებთანაც მეგობრობდა და ძალოვნებთანაც, მაგრამ ერთ დღეს, ეს ბუნჩულა კაცი „მონღოლის“ ბიჭებმა მოიპარეს, ქალაქგარეთ გაიყვანეს, კუბოში ჩააწვინეს და მისი გახერხვა დაიწყეს. სულ ტყუილად ყვიროდა მირკინი ცნობილი „კანონიერი ქურდების“ სახელებს. როგორც კი ხერხმა მას მკერდი გაუკაწრა, მაშინვე ამოსძახა, ყველა პირობაზე თანახმა ვარო. მას გადამალული ფული საკუთარი ხელით ამოათხრევინეს და საერთო ჯამში, ნახევარ მილიონზე მეტი წაგლიჯეს. ტყუილად დარბოდა ბატონი ვალდემარი უშიშროების კაბინეტებსა და ქურდებთან – „მონღოლს“ კრიმინალები ვერ ეხებოდნენ, ძალოვნებმა კი მისი ადგილსამყოფელ არ იცოდნენ.

სწორედ იმ პერიოდში, მოსკოველმა სამართალდამცავებმა საოცარი სპეცოპერაცია ჩაატარეს და ქართველი ბინის ქურდები დააკავეს. მათ ერთ-ერთი კოლქციონერის სახლი გაასუფთავეს, იქიდან ოქროს 200 მონეტა და კილონახევრიანი ოქროს ხატი წაიღეს. მილიციის ზეიმი ნაადრევი გამოდგა. როგორც დაკავებულებიდან ერთ-ერთი, გ. ქორიძე ყვებოდა, შინ მისულებს „მონღოლი“ დაადგათ და იარაღის მუქარით, ხატიც წაიღო და ოქროს 200 მონეტაც. ეს მონეტები თავის სათქმელს მალე იტყვიან...

„მონღოლის“ ბანდის წევრები, მაშინ, იშვიათი პროფესიის მქონე, ვინმე ფატიმას მიადგნენ. ფატიმა ნარკოტიკებით ვაჭრობდა და 10 ათასი მანეთი მოსთხოვეს. ქალმა უთხრა, ეს ფული რომ მოგცეთ, მთავარი „ბარიგა“ მომკლავსო და მისი სახელი თქვა. „მონღოლის“ ბიჭებმა ფატიმასგან 10 ათასი წაიღეს, მთავარ „ბარიგას“ დაადგნენ და მისგან დამატებით 80 ათასი ამოიღეს. იგივე ხალხმა, ლენინგრადში, ყველაზე ცნობილი N30-ე სამწვადეს დირექტორი, ანტონინა ლამაკინა მოიტაცეს. მას ფული სთხოვეს და ლამაკინამაც უთხრა, შინ მიმიყვანეთ, მოგცემთ, თქვენთან ომი არ მაწყობსო.

ბინაში მისულმა ქალმა ბოლო ხმაზე კივილი დაიწყო და მეზობლები შეჰყარა. კრიმინალები გაიქცნენ, ლამაკინა მილიციაში მივიდა და მის მფარველ ძალოვნებს საკუთარი უსაფრთხოება სთხოვა. მილიციამ ორი კაცი გამოყო, რომლებიც ლამაკინას უნდა გაფრთხილებოდნენ და სამი დღის შემდეგ, ქალბატონი ანტონინა, სწორედ ამ მილიციელების თვალწინ, ისევ გაიტაცეს. ამჯერად, მას ანახეს, რა ელოდა.

„მათთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავდა. ლამაკინაზე შთაბეჭდილების მოსახდენად, ქუჩაში ვიღაც გამვლელი დაიჭირეს და ისიც ტყეში წაიყვანეს. მერე ის უცხო მიწაზე დააგდეს, დააბეს, იქვე მოხარშეს „ბიტუმი“ („გუდრონი“) და ამ უცხოს ადუღებული მასა სახეზე დაასხეს. სანამ ის კიოდა, ცხელ მასას ცივი წყალი გადაასხეს და „ბიტუმი“ გამაგრდა. შედეგად, ის ვიღაც უჰაერობით გაიგუდა, მაგრამ ამასთან ერთად, საშინელი ტკივილი განიცადა, ცხელი ნივთიერების სახეზე დასხმით.

ლამაკინამ არათუ ყველაფერი მისცა, რაც გააჩნდა, არამედ, დაპირდა, მომავალში მოსვლაც არ გინდათ, დამირეკეთ და მხოლოდ ციფრი მითხარითო“, – იტყვის მოგვიანებით საქმის გამომძიებელი, მოსკოვის სამძებროს ლეგენდა, ალექსანდრ სუხარევი.

იმ დროს, არა მარტო მოსკოვში, არამედ, მთელ საბჭოთა კავშირში, რესტორნები 23.00 საათზე იკეტებოდა. ეს ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად, „გუგუნი“ დილამდე მიდიოდა ხოლმე. მოსკოვში ასეთი ადგილი რესტორანი „სატურნი“ იყო. მაშინ მას დღევანდელი რუსული ესტრადის ვარსკვლავი, ავტორ-შემსრულებელი, მიხაილ ზვიზდინსკი დირექტორობდა. 23:00 საათის შემდეგ, რესტორანში მხოლოდ შესვლა 100 მანეთი ღირდა ანუ ლამის მასწავლებლის ერთი თვის ხელფასი. გენერლებთან, „კანონიერ ქურდებსა“ და გალინა ბრეჟნევასთან ერთად, ამ საზოგადოებას ხშირად სტუმრობდა „მონღოლი“, მაგრამ ჯერ ერთი, არავინ იცოდა, როდის მოვიდოდა და მეორეც, გარეთ მუდმივად ელოდებოდა ოცამდე შეიარაღებული პირი. ასეთი ჩასაფრება რესტორანში რომ მოეწყოთ, ის აუცილებლად შენიშნავდა და არ შევიდოდა, ამიტომ ჭკუა იხმარეს და მოთვალთვალე რესტორნიდან გააყოლეს.

„მონღოლის“ ბანდაში მკვლელობებს, ძირითადად, ერთი კაცი, ვინმე ვლადიმირ ბიკოვი ასრულებდა. სამართალდამცავებმა მისი ადგილსამყოფელი დაადგინეს, აიყვანეს და პარალელურად, სპეცოპერაცია დაგეგმეს. ძალოვნები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბიკოვის დაკავების შემდეგ, „მონღოლი“ ბანდის წევრებს შეკრებდა და მცირე თათბრს ჩაატარებდა. ასეც მოხდა – მილიციამ შეკრების ადგილი გაიგო და „მონღოლის“ ბანდა 400-მდე შეიარაღებულმა თანამშრომელმა დააკავა. სასამართლო ხმაურიანი გამოდგა, თუმცა...

„ჩვენ ვიპოვეთ უამრავი ფული, ძვირფასეულობა, პრაქტიკულად, ყველაფერი, გარდა ოქროს ხატისა და მონეტებისა. ეჭვი მაქვს, ყველაფერი ეს, მოსამართლესთან წავიდა, რადგან მან მკვლელი ფსიქიატრიულში გაუშვა, „მონღოლს“ 14 წელი მიუსაჯა, მასზე მეტი ბანდის არცერთმა წევრმა არ მიიღო“, – სინანულით ამბობს სუხარევი.

ყველაფერი ბევრად საინტერესოდ გაგრძელდა. ციხეში „მონღოლმა“ იმდენი მოახერხა, რომ ბანდის თითქმის ყველა წევრი სასჯელს მასთან ერთად იხდიდა. მისივე მოთხოვნით, მალე „კანონიერი ქურდები“ შეიკრიბნენ და... „მონღოლიც“ ქურდად „აკურთხეს“. მან სრულად მოიხადა 14 წელი და ციხიდან გამოსული, უკვე ქურდის სტატუსით შეუდგა რეკეტსა და ტერორს. მას ვერავინ ვერაფერს უბედავდა, რადგან კვლავ ჰყავდა ბანდის ის წევრები, რომლებიც მისი ხელის ერთ აქნევაზე, ნებისმიერს ყელს გამოჭრიდნენ და არც ქურდებს დაინდობდნენ.

ეს იყო ადამიანი, რომელსაც ჰქონდა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი და არ სცნობდა ქურდებს, ის არ აღიარებდა არავის, საკუთარი თავის გარდა და მას ვერაფერი მოუხერხეს. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, მისი მკვლელობის მცდელობაც კი არავის ჰქონია, რადგან კარგად დაცული „მონღოლი“ თუ გადარჩებოდა, ნამდვილ სასაკლაოს მოაწყობდა და ამის ყველას ეშინოდა.

გენადი კარიკოვი, მეტსახელად „მონღოლი“, ერთ-ერთი უსასტიკესი კრიმინალი, 1994 წელს, სიმსივნით გარდაიცვალა. ქურდებმა შური მარტივად იძიეს – მის გასვენებაში არ მივიდნენ, თუმცა ეჭვი გვაქვს, ეს გარდაცვლილს ნაკლებად ანაღვლებდა.

მკვლელობა „ნაგანით“

რატომ ნადირობდა სოხუმელი ბერძენი ტაქსისტებზე

ბათო ჯაფარიძე

ქურდებს, ყაჩაღებს, მკვლელებს ანუ ზოგადად, კრიმინალებს ერთი საერთო თვისება აქვთ – რატომღაც ჰგონიათ, რომ სამართალდამცავებზე ჭკვიანები არიან. წინასწარ გეგმავენ დანაშაულს, მათი აზრით, ყველა შესაძლო ლაფსუსს ითვალისწინებენ და საქმეზე მიდიან. შემდეგ კი ისე ხდება, რომ გამოძიებას საოცარ კვალს უტოვებენ და მათზე სწორედ ამ კვალით გადიან. მერწმუნეთ, ძალიან ბევრ დამნაშავეს არ სჯერა, რომ მისი „გენიალური საქმე“ რომელიმე გამომძიებელმა მიიყვანა ბოლომდე. თითოეულ მათგანს სწამს, რომ ვიღაცამ „ჩაუშვა“ და სწორედ ამის შემდეგ „შეკერეს“ ყველაფერი, თორემ თავად შეცდომა არ დაუშვია.

„სანამ მკვლელობების განყოფილებაში გადავიდოდი, ქურდობებს ვიძიებდი. ახალგაზრდა კაცს ბევრი საქმე არ მქონდა, რადგან მაშინ მართლა ცოტას ქურდობდნენ და იყო შემთხვევები, როცა გაქურდული პირები მილიციაში არც მოდიოდნენ, რადგან ის არ აეხსნათ, საიდან დააგროვეს კაპიტალი, რომელიც მოპარეს. ამიტომ, როცა ერთ-ერთი საწყობის გაქურდვის შესახებ შემოვიდა საწყობის ხელმძღვანელობის განცხადება, სიხარულით და ენთუზიაზმით წავედი. რაც უნდა იყოს, ორგანიზაცია მაინც სხვაა და საინტერესო თავგადასავალს ველოდი. არც შევმცდარვარ“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივი ჩანდა – საწყობის კარს კლიტე გარედან ედო, დარაჯი კი შენობაში გახლდათ. თუ ვინმე იქ შეღწევას შეეცდებოდა, დარაჯს თოფიც ჰქონდა და ტელეფონიც, თუმცა იმ დღეს ჩაეძინა. ბოქლომი გახერხეს, შევიდნენ, დარაჯს თავი გაუხეთქეს და საწყობიდან, დაახლოებით, 30 ათასი მანეთის ფაიფური, შანდლები და ბროლის ვაზები წაიღეს. რა თქმა უნდა, ყველაფერს ხელით ვერ წაიღებდნენ და სამართალდამცავებს უნდა ენახათ ვინმე, ვინც საწყობის ახლოს მდგარ მანქანას შენიშნავდა. დარაჯი ჯერ საავადმყოფოში გადაიყვანეს, შემდეგ გამოკითხეს და შინ გაუშვეს. მან ბევრი ვერაფერი თქვა – დაღლილს ჩამეძინა, ხმაურზე რომ გავიღვიძე და წამოვჯექი, თავში რაღაც მძიმე მომხვდა და გავითიშეო.

მაშინ, როცა არც ვიდეოთვალი არსებობდა და არც – მობილური ტელეფონი, უდიდესი მნიშვნელობა ექსპერტიზის გამართულ მუშაობას ჰქონდა, ამიტომ ისინი ნებისმიერ დეტალს უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ და არცთუ იშვიათად, ერთი შეხედვით უსარგებლო ნივთი, საქმეში მთავარი მტკიცებულება ხდებოდა. გამომძიებლებმა ექსპერტიზაზე წაიღეს ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა, მათ შორის, გახერხილი ბოქლომიც. სწორედ ბოქლომით დაიწყო იმ აბლაბუდის გახსნა, რომელსაც არაერთი უძილო ღამე დასჭირდა.

ექსპერტიზამ დასკვნა მეორე დილით დადო – ბოქლომი კარზე არ გადახერხეს, ის სპეციალურ „გირაგში“ მოათავსეს, გახერხვა რომ ადვილი ყოფილიყო და ამის შემდეგ დააგდეს კართან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ვიღაცამ ქურდებს წინასწარ მისცა ბოქლომის გასაღები. მათ მშვიდად მოხსნეს, ადვილად გახერხეს, პარალელურად, იქაურობა გაასუფთავეს და შექმნეს შთაბეჭდილება, რომ ეს ქურდობა იყო. როგორც გაირკვა, ბოქლომის გასაღები დირექტორს, საწყობის გამგესა და დარაჯს ჰქონდათ. დირექტორი და გამგე სამსახურში იყვნენ და მაშინვე დაკითხეს. ორივემ ხელები გაასავსავა, რა ქურდები და ბოქლომი, სუფთები ვართო. დარაჯის დაკითხვა კი ვერ მოხერხდა – სამსახურში არ გამოცხადდა, მის სახლში მისულ გამომძიებლებს კი უკვე მოკლული დახვდათ. ექსპერტიზამ აქაც კარგად იმუშავა და დაასკვნა – დარაჯი ღამის 2-3 საათისთვის მოკლეს ანუ დაკითხვიდან როცა წავიდა, დაახლოებით, სამ საათში. დარაჯს ნაგანის ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

„უკვე ცხადი იყო – დარაჯმა ყველაფერი იცოდა და ის, როგორც არასასურველი მოწმე, ისე მოიშორეს, მაგრამ გაჩნდა ერთი ლოგიკური კითხვა – რატომ მოკლეს სახლში და არა – საწყობში? ასე ხომ უფრო მარტივი და დამაჯერებელი იქნებოდა? გაქურდეს, დარაჯს გაეღვიძა და მოკლეს. სახლში მისვლასა და იქ მოკვლას სხვა მიზეზი სჭირდებოდა, მაგრამ რა? ამას ვერც მე ვხვდებოდი და ვერც ჩემზე ბევრად გამოცდილი კოლეგები“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ახლა უკვე ქურდების კი არა, მკვლელების ძიება დაიწყო და საქმეში მკვლელობების განყოფილებაც ჩაერთო. ძიების პარალელურად, კიდევ ერთი საწყობი გაიქურდა, თუმცა იქ ყველაფერი შედარებით სუფთად გაკეთდა – დარაჯი საწყობს საერთოდ არ ჰყავდა, ბოქლომიც ნამუსიანად, ადგილზე იყო გადახერხილი და საწყობიდან მხოლოდ ტყავის სამი ხვეულა გახლდათ წაღებული. ექსპერტებმა ასპროცენტიანი სიზუსტით ვერა, მაგრამ მაინც თქვეს, ნახერხის კვალის მიხედვით, ბოქლომები ერთი და იმავე კაცმა გადაჭრა და ეს კაცი ცაცია არ არის, თუმცა მარცხენა ხელს მარჯვენასავით ხმარობსო.

ტყავის ხვეულები თითქოს დიდი ზარალი არ იყო, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ფეხსაცმელების წარმოებაში ამ ტყავის მიტანის შემთხვევაში, ქურდები გვარიანად იხეირებდნენ. ქუთაისის ფეხსაცმელების ქარხანა უმკაცრეს კონტროლზე აიყვანეს, ყურადღებით იყვნენ ყველა იმ დიდ საწარმოზე, სადაც შეიძლებოდა ეს ხვეულები სარფიანად გაესაღებინათ. მხოლოდ საქმის გახსნის შემდეგ გაიგებს გამოძიება, რომ მოპარული ტყავი „გაიშნიკებისთვის“ 50 მანეთის მიცემის სანაცვლოდ, სომხეთში გადაიტანეს და იქ გაყიდეს. სამართალდამცავები დარწმუნდნენ, რომ ქალაქში კარგად ორგანიზებული ბანდა მოქმედებდა და თან ისეთი, რომელიც მკვლელობაზეც კი არ იხევდა უკან, ამიტომ მილიციის ძალები გაერთიანდნენ და გარდა იმისა, რომ ბანდის ძიება გააქტიურეს, ეძებდნენ იარაღსაც, რომლითაც დარაჯი მოკლეს.

მეორე შემთხვევიდან მალევე, საავადმყოფოში ფეხში დაჭრილი ტაქსის მძღოლი მიიყვანეს. როგორც მან სამართალდამცავებს უთხრა, კლიენტი გზაზე აიყვანა, რომელმაც ქალაქგარეთ წაყვანა სთხოვა, თუმცა კილომეტრიც არ ექნებოდათ გავლილი, როცა მოულოდნელად, მგზავრმა ნაგანი ამოიღო, ფეხზე დაადო და გაისროლა. მძღოლმა შიშით და ტკივილით დაამუხრუჭა, მგზავრი მშვიდად გადავიდა გაჩერებული მანქანიდან და გზას გაუყვა. ექიმებმა ამოღებული ტყვია სამართალდამცავებს გადასცეს და დასკვნამ ყველა დააინტერესა – ნაგანი!

ტაქსის მძღოლს ფოტორობოტი შეადგენინეს, თუმცა ვერცერთ კრიმინალს მიამსგავსეს.

„ნაგანს მილიციისთვის რამდენიმე ცუდი თვისება აქვს. პირველი ის, რომ მასრა „ბარაბანში“ რჩება და არ ვარდება. მეორე ის, რომ მყარ წინააღმდეგობაზე მოხვედრის შემთხვევაში, ტყვია ისე ბრტყელდება, თითქმის გამორიცხულია დადგენა, კონკრეტულად რომელი იარაღიდან არის გასროლილი, ამიტომ მტკიცება იმისა, რომ დარაჯსა და ტაქსის მძღოლს ერთი და იგივე იარაღიდან ესროლეს, შეუძლებელი იყო, თუმცა ერთი დღის შემდეგ, მორიგი ტაქსის მძღოლი მიიყვანეს საავადმყოფოში. მასაც ზუსტად იგივე ისტორია გადახდა და რაც მთავარია, მგზავრი მანაც ისე აღწერა, როგორც პირველმა დაზარალებულმა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ფოტორობოტები ერთმანეთს დაემთხვა და სამართალდამცავებმა აგენტურას აჩვენეს. ერთი კვირის შემდეგ, ერთ-ერთმა აგენტმა თქვა, რომ ასეთ აღწერილობის კაცი მის კორპუსში ქირით ცხოვრობდა და რაც მთავარია, მისი შესახლება, საწყობის გაქურდვას ემთხვეოდა დროში. მილიციამ აყვანის ოპერაცია დაგეგმა, მაგრამ ამაოდ – ეჭვმიტანილი არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, მეზობლების გამოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ კორპუსის ახალი ბინადარი სოხუმიდან იყო და როგორც თავად ამბობდა, დედაქალაქში სამკურნალოდ ჩამოვიდა.

საქმეში აფხაზეთის მილიციაც ჩაერთო და ფოტორობოტით იქაური მაცხოვრებელი, წარმოშობით ბერძენი მამაკაცი ამოიცნეს. არც მისი სურათების მოპოვება გახდა პრობლემა და ორივე ტაქსის მძღოლმა თავდამსხმელი ამოიცნო.

„ეჭვმიტანილი ქუთაისში დააკავეს. ავტოსადგურზე მორიგე მილიციელმა იცნო, იცოდა, რომ მას შეიძლებოდა იარაღი ჰქონოდა, ამიტომ კოლეგებს დაუძახა და სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა სამართალდამცავებმა მარტივად დააპატიმრეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაკითხვიდან გაირკვა, რომ დაკავებულს მილიციის რიგებში დამხმარე ჰყავდა, სწორედ იმ დამხმარემ უთხრა, დარაჯზე რომ მიიტანეს ეჭვი და ამიტომაც მოიშორა. საინტერესო ის იყო, რომ ტაქსის მძღოლებს გართობის მიზნით ესროდა, საქმე არაფერი მქონდა, მე კიდევ ექსტრემალური შეგრძნებების გარეშე არ შემიძლიაო.

სასამართლომ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ ვადის მოხდის მე-11 წელს, ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ტუბერკულოზით გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 261 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 261 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, 44 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23.00 საათიდან დილის 04.00 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, 164 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 53 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას – 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა, ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

სამეგრელოს პოლიციამ სენაკში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ბ. გ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, სოფელ ხორშისკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე, 1975 წელს დაბადებული ლ.მ., ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბ.გ. მომხდარიდან მეორე დღეს, ქალაქ მცხეთაში დააკავა.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, ქუთაისში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზ.კ. ქუთაისში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისს, ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ზ.კ.-ის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედების – პირადი ჩხრეკის დროს, ბრალდებული ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომელს – 1986 წელს დაბადებულ დ.გ.-ს თავს დაესხა და ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა.

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ მაღაზია „აი პლუსის“ გაქურდვის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული გ.რ., ქურდობის ბრალდებით, შიდა ქართლში დააკავეს.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 11 ივნისს, ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩაამსხვრია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე მაღაზია „აი პლუსის“ ფასადზე დამონტაჟებული მინის ვიტრინა, რის შემდეგ გ.რ. სავაჭრო ობიექტში შევიდა და მობილურ ტელეფონებს ფარულად დაეუფლა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს, შიდა ქართლში დააკავეს.

ნაქურდალი ტელეფონების ნაწილი ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სადგომში ან საცავში შეღწევით ჩადენილ ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

პოლიციამ თელავში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ზ.ს., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ქალაქ თელავში, რამდენიმე პირს შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც ბრალდებულმა ზ.ს.-მ, აღნიშნულ ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი პირი, 2000 წელს დაბადებული ბ.ქ., ბასრი საგნის გამოყენებით დაჭრა. დაჭრილი მამაკაცი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

ჩხუბის დროს, ბრალდებულმა ზ.ს.-მაც სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო. იგი საავადმყოფოში გადის მკურნალობას.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

ქართული სულის ყივილი ბუდაპეშტში

გასულ კვირას, ძიუდოს ცენტრი უნგრეთის დედაქალაქი იყო. ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა და ეს პირველობა ქართველთათვის ისტორიული გამოდგა – 73 კილოგრამში, ლაშა შავდათუაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა და პირველი ქართველი ძიუდოისტი გახდა, რომელსაც სამივე დიდი ფორუმის ოქრო აქვს. ლაშა ახლა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის გამარჯვებულია, რაც უნიკალური მიღწევაა. ფინალური შეხვედრა დათმო -81-ში მოასპარეზე ტატო გრიგალაშვილმა, ვარლამ ლიპარტელიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ეს მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული მისი მეექვსე მედალია, ბრინჯაოს დასჯერდა 19 წლის ილია სულამანიძეც, რაც მისთვის აშკარად კარგი შედეგია.

მიღწეული წარმატების ფონზე, ერთი რამ თითქმის ყველას გამორჩა და ხაზგასმით არ აღნიშნა. თავიდან დავიწყოთ. პირველ საჭიდაო დღეს, -60 კილოგრამში, ჩემპიონი იაგო აბულაძე გახდა, თუმცა ქართველმა ძიუდოისტმა ოქროს მედალი რუსეთის სახელით მოიპოვა. მესამე დღეს, როგორც მოგახსენეთ, -73-ში, ჩემპიონობა ლაშა შავდათუაშვილმა ირგუნა და ისე გამოვიდა, რომ სამი დღის შემდეგ, ოქროს ორი მედალი „ქართული“ იყო. მეოთხე დღეს, ფინალი წააგო ტატო გრიგალაშვილმა და ვერცხლს დასჯერდა, თუმცა მასთან ერთად, კვარცხლბეკზე, ბრინჯაოს მედლის მფლობელი, „პორტუგალიელი“ ანრი ეგუტიძე იდგა.

მეხუთე დღეს, -90 კილოგრამში, ესპანეთის ჰიმნი ააჟღერა ნიკოლოზ შერაზადიშვილმა ანუ მესამე ქართული ოქრო, ოღონდ აქედან საქართველოში, მხოლოდ ერთი მოდიოდა. მეექვსე დღეს, ორი ქართული ბრინჯაო – კვარცხლბეკზე კი ვალერი ლიპარტელიანი და ილია სულამანიძე დადგნენ. საბოლოოდ, 7 წონაში, სამი ოქრო ქართველებმა მოიგეს, რაც პატარა ამბავი ნამდვილად არ გახლავთ და ისიც ვთქვათ, რომ ვერ გავამტყუნებთ ვერცერთ მათგანს, ვინც საქართველოს სახელით არ ჭიდაობს. ისინი ჩვენთან რომ დარჩენილიყვნენ, უდიდესი კონკურენციის ფონზე, შეიძლება, ნაკრებში საერთოდ ვერ მოხვედრილიყვნენ. ახლა კი შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ მადრიდის გარეუბანში არის ქუჩა, რომელსაც „ნიკო შერა“ ჰქვია და ეს ადგილობრივმა მთავრობამ მას შემდეგ გააკეთა, რაც შერაზადიშვილი პირველი „ესპანელი“ გახდა, რომელმაც ძიუდოში, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. გასულ უქმეებზე კი, „ძიუდოს ანგელოზად“ წოდებულმა ნიკომ, პირენეის ნახევარკუნძულზე, ოქროს მეორე მედალი ჩაიტანა.

შენგელიამ რუსეთის ჩემპიონობა ქართული დროშით აღნიშნა

ალბათ, გახსოვთ, რა ხმაური იყო ერთი წლის წინ, როცა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანმა, თორნიკე შენგელიამ რუსულ ცსკა-სთან გააფორმა კონტრაქტი. გულშემატკივართა დიდმა ნაწილმა ის ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადა და ისიც კი თქვეს, თოკოს ყველაფერ ქართულს დაავიწყებენო.

გასულ უქმეებზე, ფინალურ სერიაში, ცსკა-მ რუსეთის ჩემპიონატი მოიგო და ოქროს მედლები მოიპოვა. გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, თორნიკე შენგელიამ გამორჩეული მატჩები ჩაატარა, ჩემპიონობის შემდეგ კი...

შენგელია მთელ დარბაზში საქართველოს დროშით დარბოდა და ოქროს მედალს ასე აღნიშნავდა. მისთვის არავის უთქვამს, დროშა დამალე ან ასე მაღლა ნუ აფრიალებო. მეტიც, ოფიციალური დაჯილდოვების დროს, როცა შენგელიას ოქროს მედალი დაკიდეს, მას მხრებზე ქართული დროშა ჰქონდა შემოხვეული. იმედია, ეს კიდევ ერთი ნიშანი იქნება იმისა, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან გავმიჯნოთ და ქართველის წარმატებით გავიხაროთ. ფაქტია, შენგელია ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია და მისი ხელი საქართველოს ნაკრებს ევროპის 2022 წლის ჩემპიონატზე აუცილებლად წაადგება.

გიორგი ქინქლაძე დიდ ფეხბურთს უბრუნდება

არავინ დაობს, რომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ყველაზე ნიჭიერი გიორგი ქინქლაძე იყო. „ქინგ-ლაძემ“ საოცარი სეზონები ჩაატარა და მისი ტექნიკის შემხედვარე, გულშემატკივარი მუდმივად ელოდა რაღაც სასწაულს და გიოც ამ სასწაულებს სჩადიოდა. სამწუხაროდ, მან ვერ ითამაშა იმ დონის ფეხბურთი, რომელიც მისი ნიჭის პატრონს შეეფერებოდა, თორემ დღეს ზიდანის, მესისა და რონალდუს გვერდით იქნებოდა. სამაგიეროდ, „მანჩესტერ სიტის“ გულშემატკივარი დღემდე აღარებს, რომ გიო მათ გუნდში, ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო.

კარიერის დასრულების შემდეგ, ქინქლაძემ საფეხბურთო აგენტობას მიჰყო ხელი, თუმცა ახლა შანსი აქვს, როგორც ჩინოვნიკი, ფეხბურთში ისე დაბრუნდეს. მას კლუბის სპორტული დირექტორის პოსტი კვიპროსის „ანორთოსისის“ ხელმძღვანელობამ შესთავაზა. მოგეხსენებათ, ამ გუნდს სათავეში თემურ ქეცბაია უდგას და კვიპროსელებს მიაჩნიათ, რომ ქინქლაძის ნიჭი მას შესაძლებლობას მისცემს, კლუბში ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები მოიყვანოს. მითუმეტეს, კარიერის მიწურულს, სწორედ ქეცბაიას მიწვევით, ქინქლაძემ ბურთი „ანორთოსისშიც“ გააგორა და ადგილობრივი პუბლიკა „ქართველ ჯადოქარს“ კარგად იცნობს.

რუსეთი და უკრაინა მოედნის გარეთ ომობენ

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ სპეციალური მაისურები რომ დაამზადა და მათზე გაერთიანებული უკრაინის დროშასთან ერთად, ორი წარწერაც დაიტანა, კარგად მოგეხსენებათ. „დიდება უკრაინას“ და „დიდება გმირებს“ – უეფამ არ მოიწონა. უფრო ზუსტად, უეფამ რუსეთის საფეხბურთ კავშირის საჩივარი განიხილა და თუ „დიდება უკრაინაზე“ რეაქცია არ ჰქონდა, „დიდება გმირებს“ პოლიტიკურ ტერმინად მონათლა და მისი ამოღება მოითხოვა.

სანამ ეს იწილო-ბიწილო გრძელდებოდა, რუსეთმა ბელგიასთან უშანსოდ, 0:3 წააგო და მთელმა უკრაინამ სოციალურ ქსელში, საინფორმაციო გამოშვებებსა თუ საფეხბურთო გადაცემებში დასცინა. ორი დღის შემდეგ კი უკრაინის ჯერი დადგა და ანდრეი შევჩენკოს შეგირდებმა, დრამატულ შეხვედრაში ჰოლანდიასთან 3:2 წააგეს. ამჯერად, უკრაინელების მარცხით რუსებმა გაიხარეს და განცხადება „მატჩ ტვ“-ს გენერალურმა პროდიუსერმა, თინა კანდელაკმაც გააკეთა.

„3:2 ლამაზი ანგარიშია, მაგრამ ლამაზია, როდესაც სამიანი საჭირო მიმართულებითაა მოხვეული. ისე კი, აქაც ნულია ქულის გრაფაში, არავითარი ტრაგედია და სიტუაცია კვლავ წაგებული გუნდის ხელშია. მინიშნება, იმედია, გასაგებია“, – დაწერა კანდელაკმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე. ჰო, ქალბატონი თინა ახლა ზის და იმავე გვერდზე, უკრაინელი და ქართველი გულშემატკივრების კომენტარებს შლის.

რეგულაციები, რომელთა დაცვაც კინოთეატრებსა და თეატრებში მოგიწევთ

სალომე ნოზაძე

2019 წლის მიწურულს, ჩინეთის პროვინცია ვუჰანში გაჩენილი ვირუსი, რამდენიმე თვეში პანდემიად იქცა, რომელიც ჩვენი დროის გლობალური ჯანმრთელობის კრიზისია. გასული წლის ბოლოს, ანტარქტიდის გარდა, კორონა ყველა კონტინენტზე გავრცელდა. პანდემიას მსოფლიოს პარალიზება მოჰყვა და, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოსაც დიდი ზიანი მიაყენა. კორონავირუსის გავრცელების გამო, ქვეყანაში დაწესდა უმკაცრესი შეზღუდვები, რაც ყველა სფეროს შეეხო, მათ შორის, კულტურასაც – COVID-19-ის გავრცელების გამო, სახელოვნებო სივრცეში კრიზისი დაიწყო.

ნიღბიანი მსახიობები კულისებში – დაღი, რომელიც კორონამ თეატრს დაასვა

დაახლოებით, ერთწლიანი პაუზის შემდეგ, 2021 წლის 1 აპრილს, საქართველოს კინოთეატრები და თეატრები შეზღუდვებით გაიხსნა. კინოჩვენებები კოვიდუსაფრთხოების სრული დაცვით მიმდინარეობს – ყოველი სეანსის შემდეგ, დარბაზს ასუფთავებენ და დეზინფექციას ატარებენ; სეანსის დროს, მაყურებელს უკეთია პირბადე და მხოლოდ პოპკორნის ჭამის დროს იხსნის; რაც მთავარია, დაცულია დისტანცია და მაყურებელი დარბაზში, ერთი სკამის გამოტოვებით ზის.

„კონოაფიშა გე“-ს მარკეტინგის დირექტორმა, გვანცა გარმელიამ „ვერსიას“ აუხსნა, რომ ყველა დარბაზი სპეციალურად კონტროლდება:

„პირბადის ტარება კინოს სივრცეში სავალდებულოა, თუმცა დასაშვებია პოპკორნის შეტანა და, რაღა თქმა უნდა, მირთმევის დროს, პირბადის მოხსნა. რეგულაციებიდან გამომდინარე, ასევე, გამკაცრებულია დისტანცია ბილეთის შეძენის დროს – ბილეთის შეძენა ხდება ერთი ადგილის გამოტოვებით და ასევე, ონლაინ“.

მართალია, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი კინოთეატრები და თეატრები 1 აპრილს გაიხსნა, მაგრამ როგორც გვანცა გარმელიამ „ვერსიას“ განუცხადა, კინოსეანსები ოფიციალურად, 8 აპრილიდან განახლდა:

„ჩვენ გავიხსენით 8 აპრილს. თავიდან, ნორმალური აქტიურობა იყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ საღამოს სეანსები არ გვქონდა, მაყურებელთა აქტივობას ამცირებდა, შემდეგ კომენდატის საათმაც გადაიწია, რის გამოც ერთი სეანსი დავამატეთ და დასწრებაც გააქტიურდა. ნელ-ნელა, ჩვეულ რეჟიმს ვუბრუნდებით, თუმცა იმის გამო, რომ რეგულაციებიდან გამომდინარე, ადგილების რაოდენობა განახევრებულია (დარბაზში, მაყურებლები ერთი ადგილის გამოტოვებით სხედან, -ავტ.), ცხადია, სავარაუდო შემოსავლების ოდენობას ესეც ანახევრებს. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, მალე დავუბრუნდებით ძველ, პანდემიამდელ მდგომარეობას, მაგრამ ამისთვის, როგორც მინიმუმ, სამი წელი მაინც დაგვჭირდება. ყველაფრის მიუხედავად, იმედი გვაქვს, ნელ-ნელა დავსტაბილურდებით“.

„ვერსია“ ასევე, დაინტერესდა, რა ხდება თეატრებში და გაარკვია, რომ კინოთეატრების მსგავსად, სპექტაკლებიც რეგულაციების დაცვით იმართება. ასე, მაგალითად, სპექტაკლზე მისულ ადამიანს დეზობარიერი ხვდება და თერმოსკრინინგსაც იქვე გადის. თეატრის დარბაზშიც მაყურებელები ერთი ადგილის გამოტოვებით სხედან. რაც შეეხება პირბადეს, მის ტარებას ადმინისტრაცია აკონტროლებს. „ვერსიამ“ გაარკვია, რომ თეატრის დარბაზში, მაყურებელს მთელი სპექტაკლის განმავლობაში უკეთია პირბადე. მსახიობებს კი რეგულაციების დაცვა კულისებშიც უწევთ.

„კულისებში რეგულაცია გამკაცრებულია, მსახიობებს უკეთიათ პირბადე და საგრიმიოროშიც სათითაოდ შედიან. არც ისე ხშირად, მაგრამ მსახიობების დაინფიცირების გამო, ხანდახან, სპექტაკლი „ვარდება“ კიდეც“, – აცხადებენ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ადმინისტრაციაში.

* * *

ადამიანთა ისეთი კატეგორიაც არსებობს, რომელსაც ძალიან უნდა კინოსა და თეატრში სიარული, მაგრამ რეგულაციების დაცვას სკეპტიკურად უყურებს.

გიორგი, 23 წლის: „კინოში სიარული ჩემი ჰობია. ერთი წელია, არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთი სული მქონდა, როდის გაიხსნებოდა კინოთეატრები. ვფიქრობ, თუ ყველა დავიცავთ იმ წესებს, რაც დაგვიწესეს, კინოში სიარული საშიში საერთოდ არ არის“.

ნინო, 28 წლის: „თეატრში ბავშობიდან დავდივარ, მიყვარს იქაური გარემო, ახლაც დიდი სიამოვნებით წავიდოდი, სახლში ასაკოვანი მშობლები რომ არ მეგულებოდნენ. კი არის რეგულაციები, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ კარგად იცავენ“.

სოფო, 38 წლის: „კინოსა და თეატრში წასვლის დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ, გარკვეულწილად, მეშინია კიდეც. არ ვიცი, რა სიტუაცია დამხვდება, დისტანცია კარგია, მაგრამ არ ვიცი, პირბადეს ატარებენ თუ არა, ამიტომ თავს ვიკავებ“.

მარიამი, 18 წლის: „რაც კინოთეატრები გაიხსნა, მას შემდეგ სულ დავდივარ. არ ვიცი, შიშის ფაქტორი საერთოდ არ მაქვს“.

კოვიდპანდემიამ მთელი დედამიწა დააპაუზა და ყველაფერი გააჩერა, მაგრამ სამყარო გამოღვიძებას იწყებს და ცდილობს, ძველ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

აფრიკელმა დედამ რეკორდი მოხსნა

ერთი თვის წინ, 9 ტყუპის გაჩენით, კუნძულ მალიზე მცხოვრებმა ქალმა, ჰალიმა სოსემ მსოფლიო რეკორდი დაამყარა. თუმცა რეკორდსმენის ტიტულის ტარება დიდხანს არ დასცალდა – ამ საქმეში, მას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მცხოვრებმა, 37 წლის გოსიამე ტამარა სიტოლემ აჯობა, რომელმაც 10 ბავშვი გააჩინა – სამი გოგონა და შვიდი ბიჭი. მშობიარობა ნაადრევი იყო, რადგან ტყუპები ფეხმძიმობის მერვე თვეში დაიბადნენ. აღსანიშნავია, რომ ოჯახი ამხელა მატებას არ ელოდა – ექიმების გამოკვლევებითა და ვარაუდით, რვა პატარა უნდა გაჩენილიყო.

ნაგეთსი რეკორდულ ფასად გაყიდა

აშშ-ში, ინტერნეტ-აუქციონზე, რეკორდულ ფასად – 99.997 დოლარად გაიყიდა „მაკდონალდსის“ ქათმის ნაგეთსი, რომელიც პოპულარული თამაშის – Among Us-ის პერსონაჟს ჰგავს. ლოტის ავტორი, მომხმარებელი, სახელად Polizna წერს, რომ ნაგეთსი კორეული პოპ-ჯგუფის, BTS-ისადმი მიძღვნილ კომბო-ნაკრებში აღმოაჩინა.

ნაგეთსის თავდაპირველი ღირებულება მხოლოდ 99 ცენტი იყო. მისი შეძენის სურვილი 45-მა მომხმარებელმა გამოთქვა, სულ კი 184 ფსონი გაკეთდა. აღსანიშნავია, რომ პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ ორი კვირაა. გამყიდველი პირობას დებს, რომ მყიდველს მას ვადის გასვლამდე მიაწვდის.

კონკურსი უსაქმოდ ყოფნაში

ასეთი კონკურსი – Space-out – ყოველწლიურად ტარდება სამხრეთ კორეაში და ის სათავეს 2014 წლიდან იღებს. მისი მონაწილეები ქალაქებისგან შორს, ბუნებაში ისვენებენ, პრიზებს კი ყველაზე სტაბილური პულსისთვის იღებენ. კონკურსანტები 90 წუთის განმავლობაში არაფერს აკეთებენ, მხოლოდ მოდუნებას ცდილობენ. ათობით მონაწილეს მაყურებლები და ჟიურის წევრები აკვირდებიან. წელს, კორონავირუსის პანდემიის გამო, კონკურსანტების რაოდენობა 80-დან 30-მდე შეამცირეს. წლევანდელი გამარჯვებული სილამაზის სალონის 34 წლის მენეჯერი გახდა, მეორე ადგილზე კი რადიოს წამყვანი გავიდა. კონკურსის ორგანიზატორების თქმით, მათი მიზანი შრომისმოყვარე ადამიანიებისთვის მოდუნებისა და დასვენების შესაძლებლობის მიცემაა, თანაც ისე, რომ ამის გამო, მათ დანაშაულის გრძნობა არ გაუჩნდეთ.

„მესამე თვალი“ სმარტფონებში თავჩარგულებისთვის

სამხრეთ კორეელმა დიზაინერმა, 28 წლის მინ-ვუკ პენგმა, „მესამე თვალი“ შექმნა. ეს რობოტიზებული მოწყობილობაა მათთვის, რომლებიც სმარტფონებიდან თავს არ წევენ. დევაისი შუბლზე მაგრდება და მომხმარებელს ეხმარება, სხვა ადამიანებთან ან ობიექტებთან შეჯახებას აარიდოს თავი. მექანიკური თვალი აქტიურდება, „აღებს“ ხელოვნურ, გამჭვირვალე ქუთუთოს ყოველ ჯერზე, როცა ადამიანი თავს ჩაღუნავს ტელეფიონში ჩასახედად. როცა მომხმარებელი რაიმე ზღუდეს ერთ-ორ მეტრზე უახლოვდება, მოწყობილობა ხმოვან სიგნალს გამოსცემს და მას პოტენციური საფრთხის შესახებ აფრთხილებს. მოწყობილობის შექმნაზე ავტორს სულ ექვსი კვირა დასჭირდა. ის სეულის ქუჩებში უკვე გამოსცადეს. როდის გამოუშვებენ დევაისს სერიულად, ჯერჯერობით, უცნობია.

უმდიდრესი ადამიანი კოსმოსში გაფრინდება

Amazon-ის დამაარსებელი და პლანეტის უმდიდრესი ადამიანი, ჯეფ ბეზოსი კოსმოსში გასაფრენად ემზადება. ამ მოგზაურობაში, საკუთარ ძმასთან და აუქციონის გამარჯვებულთან ერთად გაემგზავრება. ხომალდმა Blue Origin-მა სტარტი 20 ივლისს უნდა აიღოს.

„ხუთი წლის ასაკიდან ვოცნებობდი კოსმოსში მოგზაურობაზე. ამ ოცნებას ახლა ჩემს ძმასთან ერთად ავიხდენ. ეს უდიდესი თავგადასავალი იქნება ჩემს საუკეთესო მეგობართან ერთად“, – დაწერა „ინსტაგრამის“ საკუთარ გვერდზე 57 წლის მილიარდერმა. ჯეფ ბეზოსი, „ფორბსის“ ვერსიით, მსოფლიოს მდიდრესი ადამიანია, მისი ქონება 186 მილიარდ დოლარად ფასდება.

უსინათლო ალპინისტმა ევერესტი დაიპყრო

46 წლის ჩჟან ჰუნი, პლანეტის უმაღლეს მწვერვალზე ავიდა. ის პირველი უსინათლო ადამიანია აზიაში და მესამე მსოფლიოში, ვინც ევერესტი დაიპყრო. 8849 მეტრის სიმაღლეზე, ჩჟანი სამი გიდის თანხლებით ავიდა. ალპინისტის თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანი ხართ თუ არა. „ვიდრე გონებით ძლიერი ხარ, შეგიძლია გააკეთო ის, რაზეც სხვები „არას“ იტყვიან“, – ამბობს ჰუნი.

ჩინელმა მთამსვლელმა მხედველობა 21 წლის ასაკში, გლაუკომას განვითარეის გამო დაკარგა. მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრა კი მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც 2001 წელს, უსინათლო ამერიკელი, ერიკ ვეიხენმაიერი ჯომოლუნგმაზე ავიდა.

საკუთარი წიგნები დაწვა

ინგლისელმა მწერალმა ქალმა ჯანეტ უინტერსონმა, ცოტა ხნის წინ, ხელახლა გამოცემული საკუთარი წიგნები დაწვა, რითაც გარეკანზე გამოქვეყნებული ციტატები გააპროტესტა. უინტერსონმა აგიზგიზებული წიგნების ფოტო საკუთარ „ტვიტერზე“ გამოაქვეყნა. ავტორის თქმით, რეცენზიებიდან ამოღებული ციტატები მის ნამუშევრებს დაბალხარისხიან მხატვრულ ლიტერატურად წარმოაჩენდა. მწერლის თქმით, მას არასოდეს დაუწვია სხვისი წიგნები, ისინიც კი, რომლებიც საშინელებად მიაჩნდა.

გამომცემლობები უკვე აგვარებენ პრობლემას რეცენზიებთან დაკავშირებით, თუმცა უიტერსონი აცხადებს, რომ არ აქვს სურვილი, უკვე გამოცემული ეგზემპლარები შეინახოს. მკითხველის ადგილზე. „წიგნს, რომელსაც გარეკანზე ასეთი ციტატები აქვს რეცენზიებიდან, არ ვიყიდიდი“, – ამბობს ჯანეტი. უიტერსონი საკმაოდ ცნობილი ავტორია დიდ ბრიტანეთში. 1985 წელს, მან უიტბრედის პრემია მიიღო, რომელიც ერთ-ერთი ავტორიტეტული ლიტერატურული ჯილდოა ქვეყანაში.

ყველაზე ცნობილი „კონკია“ გარდაიცვალა

ყველაზე ცნობილი და ყველასთვის საყვარელი კონკია, ფილმიდან „სამი კაკალი კონკიასათვის“, ჩეხი მსახიობი, ლიბუშე შაფრანკოვა გარდაიცვალა. CNN Prima News-ის ცნობით, 2014 წლიდან, 68 წლის მსახიობი ფილტვის კიბოს ებრძოდა, თუმცა გარდაცვალების მიზეზი ჯერ არ კონკრეტდება.

შაფრანკოვა 1953 წლის 7 ივნისს, ჩეხეთის ქალაქ ბრნოში დაიბადა. იქვე დაასრულა თეატრალური სასწავლებელი. პირველი წარმატება ფილმ „ბებიას“ უკავშირდება. 1973 წელს, შაფრანკოვა გადაიღეს ფილმში „სამი კაკალი კონკიასათვის“, რომელმაც მას საყოველთაო აღიარება და საერთო სახალხო სიყვარული მოუტანა. ამის შემდეგ, შაფრანკოვა ჩეხური კინოს ვარსკვლავად ითვლება.

პიკასოს საპროტესტო აქცია მოუწყვეს

ბარსელონაში, პიკასოს მუზეუმში, „ჩუმი პროტესტი“ გაუმართეს ესპანელ ფერმწერს, კუბიზმის ფუძემდებელსა და ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ მხატვარს ისტორიაში, რათა მისი ქალებთან არც ისე მარტივი ურთიერთობები გაეხსენებინათ. აქცია სამხატვრო სკოლა Escola Massana-ს სკოლის პროფესორმა, საკუთარ სტუდენტებთან ერთად გამართა. პროტესტანტთა ჯგუფი მუზეუმში წარწერებიანი მაისურებით მივიდა. ცნობილია, რომ პიკასო ორჯერ იყო დაქორწინებული და ასევე, ურთიერთობა ჰქონდა არაერთ ქალთან და მათგან შვილებიც ჰყავდა. „ის იყენებდა თავის მუზებს, აჯადოვებდა, ბოლომდე „გამოწურავდა“, გადაჰყავდა ტილოზე და მერე თავიდან იშორებდა“, – წერს მემუარებში მხატვრის შვილიშვილი, მარინა პიკასო.

სასმელი ნაადრევ სიკვდილს აგვარიდებს?

ამერიკელმა სწავლულებმა ტეხასის უნივერსიტეტიდან დაასკვნეს, რომ მცირე დოზით სასმელის მიღება ადამიანს თავიდან აცილებს ნაადრევი სიკვდილის რისკს. დიახ, არ გეჩვენებათ – მკვლევარები ამბობენ, რომ თუ ალკოჰოლს საერთოდ არ იღებთ, იზრდება ნაადრევი სიკვდილის რისკი. კვლევების ასეთი შედეგი მათთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა. ექსპერიმენტში 1824 მოხალისე იყო ჩართული და ვინც საერთოდ არ სვამდა ალკოჰოლურ სასმელს, მათში სიკვდილიანობის რისკი 60%-ით იზრდებოდა. ყველაზე დაბალი რისკის ქვეშ კი ისინი აღმოჩნდნენ, რომლებიც ყოველდღიურად, სამ ჭიქა ალკოჰოლს მოიხმარდნენ.

სწავლულები ამგვარ შედეგს ასე ხსნიან: ადამიანები სასმელს, როგორც წესი, მარტო არ მიირთმევენ, მას მეგობრების, ახლობლების, თანამშრომლების გარემოცვაში სვამენ. დალევა ამყარებს კავშირებს ადამიანებს შორის, აუმჯობესებს განწყობას, ავიწყებს პრობლემებს. ეს ყველაფერი კი ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას განაპირობებს. ვინც საერთოდ არ სვამს, როგორც წესი, დეპრესიულები და ნაკლებად კომუნიკაბელურები არიან, რაც მათ ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეზეც უარყოფითად მოქმედებს. ასე რომ, შეგიძლიათ, თამამად მიირთვათ საყვარელი სასმელი, თუმცა კვლევის შედეგის მიუხედავად, მაინც გაითვალისწინეთ, რომ ზომიერების დაცვა აუცილებელია.

ნარკომანებს ჩიპი გამოავლენს



ბუფალოს უნივერსიტეტის სწავლულებმა სპეციალური ნანოჩიპი შექმნეს, რომელიც სისხლში ნარკოტიკების არსებობას ძალიან სწრაფად აღმოაჩენს. სულ მალე, ამ მოწყობილობას ექიმებსა და პოლიციელებს შესთავაზებენ. ჩიპი ვერცხლის ფირფიტებისგან შედგება, რომელიც ოქროს მტვრითაა დაფარული. სხვადასხვა ნივთიერებებს, რომლებიც ჩიპთან კონტაქტში შედიან, შუქის ზემოქმედებით, ოპერატიულად გააანალიზებენ, შედეგებს კი უმალვე, მკვლევარის კომპიუტერს გადასცემენ. მაგალითად, თუ მასში ადამიანის სისხლს ან ნერწყვს გაატარებთ, რომელმაც ცოტა ხნის წინ ნარკოტიკული ნივთიერება მიიღო, მოწყობილობა მას აუცილებლად აღმოაჩენს. ამისთვის სისხლის ლაბორატორიული ანალიზები და ხანგრძლივი ტესტების ჩატარება არ არის აუცილებელი. სწავლულები მათ მიერ შექმნილ ნანოჩიპს ალკოტესტერს ადარებენ, რომელსაც დღესდღეობით, სამართალდამცველები იყენებენ. ჩიპიც, მის მსგვასად, ორიოდე წუთში დაადგენს სისხლში ნარკოტიკების არსებობას. ახლა ჯერი მის ტესტირებაზეა, შემდეგ კი უკვე მის მასშტაბურ წარმოებას დაიწყებენ. ნანოჩიპის კიდევ ერთი პლუსი ისაა, რომ მისი თვითღირებულება სულ რაღაც 10 ცენტია.

ვის არ ეკარება კორონა?

ადამიანები, რომლებმაც 2003 წელს ატიპური პნევმონია გადაიტანეს, კორონავირუსის – COVID-19-ის მიმართ მდგრადობით გამოირჩევიან, – აცხადებენ ამერიკელი და შვეიცარიელი მეცნიერები. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ვირუსი SARS-CoV-ი, რომელიც მწვავე რესპირატორულ სინდრომს იწვევს, ხელს უწყობს ანტისხეულების გამომუშავებას. სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ასეთი ანტისხეულების ერთ-ერთი სახეობა – S309 – ეფექტურად ანეიტრალებს SARS-CoV-2-ის S-ცილის უბნებს. ამგვარად, ის ადამიანები, რომელთაც მწვავე რესპირატორული სინდრომი გადაიტანეს, ახალი კორონავირუსის მიმართ უკვე მდგრადობით გამოირჩევიან. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ასეთი ანტისხეულების კოქტეილი შეიძლება გამოყენებული იქნეს COVID-19-ის მძიმე ფორმების მკურნალობისას და იმ ადამიანების პროფილაქტიკისთვისაც, რომლებიც დაინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ არიან.

„ჭკვიანი“ სამაჯური მავნე საკვების წინააღმდეგ

ამერიკულმა კომპანიამ – Behavioral Technology, სამაჯური გამოუშვა სახელად Pavlok, რომელიც მავნე საკვებისადმი მიზიდულობას დაგაძლევინებთ. გაჯეტს სახელი რუსი მეცნიერის, ივან პავლოვის პატივსაცემად უწოდეს, რომელიც პირობითი და უპირობო რეფლექსების თეორიის ფუძემდებელია. სწორედ ამ რეფლექსებზეა დაფუძნებული სამაჯურის მუშაობის პრინციპიც. ყოველ ჯერზე, როცა ადამიანს პირთან მიაქვს ხელი და რაიმე აკრძალულის შეჭმას დააპირებს, გაჯეტი მის მფლობელს მაშინვე 350-ვოლტიანი სიძლიერით დენს არტყამს. დენის დარტყმა უსაფრთხოა და ძლიერი არაა, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ უსიამოვნო ემოციების მდგრადი ასოციაცია შექმნას.

ნელ-ნელა, ადამიანს გამოუმუშავდება კავშირი მავნე საკვებსა და მის შემდგომ ტკივილზე და შეეცდება, თავიდან აირიდოს ეს სასჯელი. შედეგად, ნაკლებად მიირთმევს ფასტფუდს და სხვა მავნე საკვებსაც. თუკი ადამიანს გახდომის სურვილი აქვს, მას სამაჯურზე წინასწარ შეუძლია დააყენოს მოხმარებული კალორიების ნორმა და მისი გადაჭარბებისას, გაჯეტი ელექტროდარტყმებს არ „დაიშურებს“. „ჭკვიანი“ სამაჯური ანალოგიურად დაეხმარება ადამიანს სხვა მავნე ჩვევების (მაგალითად, მოწევის) გადაგდებაშიც. ახალი გაჯეტის საფასური 199 დოლარია.

ცოდვებს დაუსწრებლად მიუტევებენ

ვატიკანმა გადაწყვიტა, კათოლიკებს, რომლებიც კორონავირუსით დაავადდნენ, ასევე, მათი ოჯახის წევრებს, ექიმებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ავადმყოფებს ეხმარება, ცოდვები მიუტევოს. ეს შესაძლებელი იქნება პირისპირ აღსარების გარეშე.

„საკმარისია, რამდენიმე წირვის ტრანსლაციას უყურონ, წაიკითხონ ლოცვები, სულ მცირე, ნახევარი საათის განმავლობაში იკითხონ ბიბლია და გონებით სუფთა იყვნენ ცოდვებისგან“, – ნათქვამია ვატიკანის გავრცელებულ განცხადებაში. პაპის გადაწყვეტილებით, ცოდვებს შეუნდობენ ყველა იმ მომაკვდავ კათოლიკეს, ვინც ცხოვრებაში, რამდენიმე ლოცვას მაინც ამბობდა რეგულარულად.

მაიონეზი ფირფიტებში

რაც უნდა გასაკვირი იყოს, იაპონური კომპანია Bourbon, არ აწარმოებს არანაირ ვისკის და საერთოდ, სასმელსაც კი. ის ძირითადად, ტკბილეულზე მუშაობს. ადგილობრივმა კონდიტერებმა, რომლებიც შოკოლადის ნაწარმს ამზადებენ, პროდუქციის ხაზი გააფართოვეს და მას მაიონეზი დაამატეს, უფრო სწორად, მაიონეზის ფირფიტები. ახალი პროდუქცია Easy Cooking-ის („მარტივი კულინარია“) სერიიდანაა, რომელშიც შოკოლადისა და ვაშლის კარაქის ფირფიტებიც შედის. ყველა ეს „ფურცლოვანი“ საკმაზი, მათ შორის, ახალი მაიონეზიც, შექმნილია იმისთვის, რომ მათი მოხმარება უფრო მოსახერხებელი იყოს. ფირფიტები ადვილად თავისუფლდება დამცავი საფარისგან და შეგიძლიათ, პურის ნაჭერზე დადოთ. მერე კი, სურვილის მიხედვით, ღუმელშიც გამოაცხოთ. ოთხფირფიტიანი მაიონეზის ნაკრების ღირებულება 9.6 დოლარია.

„შოკოლადის“ წიწაკა ყავით

კანადურმა კომპანია Zing! Healthy Foods-მა, ბულგარული წიწაკის მეტად უჩვეულო სახეობა გამოიყვანა - ის გამოირჩევა შოკოლადის ფერითა და უჩვეულო სიტკბოთი - ყავის ნოტებით. მიუხედავად ამ არასტანდარტული გემობრივი თვისებებისა, წიწაკის ვიტამინური შემადგენლობა უცვლელია - მასში კვლავ დიდი რაოდენობითაა „ცე“-ვიტამინი და ასევე, მეტად იშვიათი „პე“-ვიტამინი, რომლის წყალობითაც აითვისება ასკორბინის მჟავა. ცნობილია, რომ „შოკოლადის“ წიწაკა სათბურებში მოჰყავთ და პრემიუმ-კლასის პროდუქტად მიიჩნევა.

„გამამხნევებელი“ ღვინო ეპიდემიის დროს

იტალიურმა ღვინის საწარმომ Zorzettig, რომელიც ფრიულიში მდებარეობს, წითელი ღვინის შეზღუდული რაოდენობა ჩამოასხა, რომელმაც ვირუსის პანდემიის დროს, ადამიანები უნდა გაამხნევოს. ღვინო Refosco dal Peduncolo Rosso-ის ჯიშის ყურძნისგან დაამზადეს, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით, ფრიული-ვენეცია-ჯულიას რეგიონშია მოყვანილი. ბოთლის ეტიკეტზე წარწერაა Andrà tutto bene („ყველაფერი კარგად იქნება“), რომელიც ვირუსისგან ყველაზე მეტად დაზარალებულ იტალიაში, ჰეშთეგად იქცა. წარწერა რვა ენაზეა შესრულებული. ეს რიცხვი შემთხვევით არ შეურჩევიათ - 8 ბედნიერ რიცხვად მიიჩნევა ჩინეთში, საიდანაც გავრცელდა კორონავირუსი. ასეთი „გამამხნევებელი“ ღვინო, სულ 720 ბოთლი ჩამოასხეს. მისი გაყიდვით მიღებული მთლიანი თანხა ადგილობრივ საავადმყოფოს გადაერიცხება, სადაც დაინფიცირებულებს მკურნალობენ. ერთი ბოთლი ღვინო 35 ევრო ღირს, მისი შეძენა კი ონლაინ-მაღაზიაშია შესაძლებელი.

ახალი ტესტი სახიფათო სიმსივნეებს აფიქსირებს

ამერიკელმა სწავლულებმა სისხლის ტესტი შექმნეს, რომელსაც კიბოს 50-ზე მეტი სახეობის აღმოჩენა შეუძლია. ცნობილია, რომ ეს მეთოდი განსაკუთრებით სახიფათო სიმსივნეებს აფიქსირებს, რომელიც სხვა შემთხვევაში, თითქმის შეუმჩნეველი რჩება. ტესტირების ახალ მეთოდზე ბოსტონის, კიბოს ინსტიტუტისა და მაიოს კლინიკების სპეციალისტები მუშაობენ. ჯერჯერობით, ეს პროცედურა ყველაზე კარგ შედეგებს დაავადების განვითარების გვიან სტადიაზე აჩვენებს, თუმცა მუშაობის შემდგომ ეტაპზე, დიაგნოზის დასმა უპრეცედენტოდ ადრეულ ეტაპზე იქნება შესაძლებელი. ამერიკელ სწავლულთა კვლევაში, 7000-მდე პაციენტი მონაწილეობს. შემთხვევების 96%-ში, ტესტი სწორად ადგენს, რა ორგანოა დაავადებული სიმსივნით.

პორტში ზღვის პუდინგს ყიდიან

თევზის პორტი, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილია, სადაც ადამიანმა შეიძლება დახვეწილი დესერტი ნახოს. თუმცა იაპონიის პორტს ნუმაძუში, რომელიც იმავდროულად, პუდინგის სპეციალური მაღაზია Numazu Deep Sea Pudding Factory-ია, შესაძლოა, უჩვეულო ტკბილეულობა გასინჯოთ. დაწესებულების განსაკუთრებული სიამაყის საგანს წარმოადგენს, ეგრეთ წოდებული, „ღრმაწყლოვანი ზღვის“ პუდინგი. დესერტი, სახელწოდებით - Deep Sea Pudding, კრემისფერი ნაღების ფენისგან შედგება, რომელიც ოკეანის ფსკერს განასახიერებს, ზემოდან ღია ლურჯი ფერის ჟელეთია დაფარული, რომელსაც იაპონური გაზიანი სასმელის - Ramune გემო აქვს - ეს ფენა ღრმა ლურჯ ზღვას განასახიერებს. პუდინგი თავსახურიან შუშის ქილებშია და მისი შთამბეჭდავი გარეგნობის წყალობით, ის დიდი პოპულარობით სარგებლობს მყიდველებში.

ძაღლს დრონით ასეირნებენ

კვიპროსში მცხოვრებმა მამაკაცმა გადაწყვიტა გამოეცადა, შეძლებდა თუ არა დრონი, პატრონის ნაცვლად, ძაღლის გასეირნებას.

ეს ექსპერიმენტი ვაკის დემეტრიუმ „ინსტაგრამზე“ გააზიარა — ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ მიჰყავს დრონს ძაღლი საბელით, მაგრამ რეალურად, შორიახლოს მდებარე აივნიდან, ძაღლის პატრონი მართავდა მოწყობილობას.

საშუალო წონა, რომელსაც დრონი გაუძლებს, დაახლოებით 2 კილოგრამია. სხვადასხვა ჯიშის ძაღლები კი გაცილებით მეტს იწონიან და თანაც, ცხოველს ადვილად შეუძლია დაა-ზიანოს მოწყობილობა, თუკი ის კატას, ან სხვა რამეს გაეკიდება.

იმ შემთხვევაში, თუ უფრო ძლიერ უპილოტო ტექნიკას გამოიყენებთ, საშიშროება უკვე ცხოველს ემუქრება — დრონს მისი ჰაერში აწევა, ან მიწაზე გათრევა შეუძლია.

ასე რომ, ამ გაგანია პანდემიის დროს, კვიპროსელი ექსპერიმენტატორის მაგალითს თუ მიბაძავთ, მოსალოდნელი საფრთხეც გაითვალისწინეთ.

საყვარელი ავტომობილით დამარხეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, მამაკაცი საყვარელი ავტომობილით დამარხეს. ყოფილი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი ხშირად ეუბნებოდა ახლობლებს, რომ სურდა, თავისი საყვარელი მანქანით — 90-იანი წლების Mercedes 500-ით დაეკრძალათ.

ერთ დროს, მას ავტომობილების მთელი პარკი ჰქონდა, ბოლოს კი მხოლოდ ეს „მერსედესი“ დარჩა, თანაც გაფუჭებული და აღარ დადიოდა, მაგრამ მაინც ხშირად ჯდებოდა და რადიოს უსმენდა.

მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ, ახლობლებს უამრავი ფორმალობის მოგვარება დასჭირდათ, მაგრამ მისი უკანასკნელი თხოვნა მაინც შეასრულეს — იმ ქვეყნად, ის საყვარელი მანქანის საჭესთან მჯდომი წავიდა.

ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატი აღმოაჩინეს

მკვლევარებმა ავსტრალიის მონაშის უნივერსიტეტიდან განაცხადეს, რომ ანტიპარაზიტულ პრეპარატ ივერმექტინს, ვირუსის საწინააღმდეგო მოქმედება აქვს და მას შეუძლია, უჯრედის დონეზე, კორონავირუსის გამრავლება 48 საათში აღკვეთოს.

ლაბორატორიული კვლევებისას, სწავლულებმა გააანალიზეს ივერმექტინის მოქმედება დაინფიცირებულ უჯრედებზე.

ვირუსის შეყრიდან ორი საათის შემდეგ, იქ პრეპარატი შეიყვანეს. აღმოჩნდა, რომ სულ ერთი დოზა წამლის წყალობით, 24 საათის შემდეგ, ვირუსის რნმ-ს რაოდენობა 93%-ით შემცირდა, 48 საათის შემდეგ კი — 99%-ით.

ეს იმაზე მიანიშნებს, რომ პრეპარატის გამოყენებამ, პრაქტიკულად, მთელი ვირუსული მასალა გაანადგურა, — აღნიშნავენ მკვლევარები.

ექსპერიმენტისას, ივერმექტინს უჯრედებზე ტოქსიკური ზემოქმედება არ მოუხდენია.

ასი წლის ქალი ყარანტინიდან გაიქცა

გერმანიაში, ქალაქ ბრაუნშვეიგში მდებარე მოხუცთა თავშესაფრიდან, კარანტინის მიუხედავად, 101 წლის გერმანელი ქალბატონი გაიქცა.

მოხუცს ძალიან უნდოდა, საკუთარი ქალიშვილისთვის დაბადების დღე პირადად მიელოცა.

როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, ხანდაზმულმა ქალმა თავშესაფარი ჩუმად, სახანძრო გასასვლელიდან დატოვა.

ქუჩაში ის პოლიციამ შენიშნა, თუმცა მოხუცი არ დაიბნა და განაცხადა, რომ თავშესაფარში არ ცხოვრობს და შვილის მისამართი დაუსახელა.

სამართალდამცავებმა ქალი მითითებულ მისამართზე მიიყვანეს, ქალიშვილმა კი დედა „ჩაუშვა“ და განაცხადა, რომ ის უკვე ორი კვირაა, თავშესაფარში ცხოვრობს.

მოხუცმა ნახა ასე ძალიან მონატრებული ქალიშვილი, მერე კი პოლიცელებმა ის პანსიონატში დააბრუნეს.

ახალი ქვეყანა დევნილებისთვის

ებრაული წარმოშობის ამერიკელი მილიონერი, ჯეისონ ბუზი აცხადებს, რომ საჭიროა სრულიად ახალი სახელმწიფოს შექმნა, სადაც ნებისმიერი ქვეყნიდან დევნილები იცხოვრებენ. საკუთარი პროექტის განსახორციელებლად, რომელსაც „ლტოლვილების ერი“ უწოდა, ბუზი მიწების ყიდვას სხვა ქვეყნებისგან, ან ზღვაში ახალი, ხელოვნური კუნძულების შექმნას გვთავაზობს. მილიონერის თქმით, საკუთარი ტერიტორიის ნაწილის გაყიდვას ისეთი ქვეყნები დათანხმდებიან, როგორებიც არიან ინდონეზია, ან დომინიკის რესპუბლიკა. ბუზი იმედოვნებს, რომ ახალი სახელმწიფო ახალ სახლად იქცევა 59500 000 დევნილისთვის, მთელი მსოფლიოდან. მსგავსი პროექტის წარმატებით განხორციელების მაგალითად, მას ისრაელი მოჰყავს. „ისრაელი დაფუძნდა, როგორც დევნილების ქვეყნა, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ ებრაელი დევნილებისთვის“, — განაცხადა ბუზიმ. ის აღნიშნავს, რომ შესაძლოა, ახალი სახელმწიფოს შექმნის იდეა ძალიან გრანდიოზული იყოს, მაგრამ დღეს არსებული პრობლემის ერთადერთი, ლოგიკური გადაწყვეტილებაა. ახალ პროექტთან დაკავშირებული სპეციალური საიტის შექმნასა და სარეკლამო კამპანიაზე, ბიზნესმენმა უკვე 15 000 დოლარი დახარჯა. განხორციელებადია თუ არა მისი იდეა, მომავალი გვიჩვენებს.

აეროპორტში ბოსტნეული მოჰყავთ

ინდოეთის საერთაშორისო აეროპორტი კოჩინი, ერთადერთია მსოფლიოში, რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე, დიდი რაოდენობით ბოსტნეული მოჰყავს. ეს შესაძლებელი გახდა მზის ბატარეების გამოყენებით.

მზის პანელები აქ, დაახლოებით, 20 ჰექტარზეა განლაგებული, ბოსტნეული კი 3 ჰექტრამდე მიწაზე მოჰყავთ.

აეროპორტის ყოველწლიური მოსავალი 40 ტონას აღწევს. ძირითად მოსავალ შეადგენს გოგრა, კიტრი, კომბოსტო, მარცვლოვნები, წიწაკა ჩილი, კოჭა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მთელი მცენარეული პროდუქცია ორგანულია და ის პესტიციდების გარეშე მოჰყავთ.

აეროპორტის ხელმძღვანელობა აპირებს, მომავალში „ბოსტნის“ ფართობი გაზარდოს და 60 ტონამდე მოსავალი მოიწიოს.

დიეტური გაზიანი სასმელი ყველაზე მავნეა

ამერიკელმა კარდიოლოგებმა ადამიანის სხეულისთვის ყველაზე მავნე საკვები პროდუქტი გამოავლინეს — ეს დიეტური გაზიანი სასმელია.

ამ პროდუქტმა, რომელიც შაქრის შემცვლელებს შეიცავს, ამერიკის გულის ასოციაციის ექიმების ყურადღება მიიპყრო.

ისინი ამბობენ, რომ აუცილებელია ამ სასმელის სრული ამოღება კვების რაციონიდან, რადგან დიეტური გაზიანი სასმელი საკმაოდ ზრდის ინსულტისა და ჭკუასუსტობის განვითარების რისკებს.

კარდიოლოგების თქმით, დღის განმავლობაში, ამ „უშაქრო“ სასმელის თუნდაც ერთი ქილის დალევით, ადამიანი სამჯერ ზრდის ინსულტისა და 2.9-ჯერ გონებასუსტობის განვითარების რისკებს.

ცნობილია, რომ დიეტურ სასმელებში, შაქრის ნაცვლად, ხელოვნურ დამატკბობლებს, მაგალითად, ასპარტამს იყენებენ.

ადამიანის სხეულში ეს ნაერთი იშლება ფენილალანინილად, ასპარტამის მჟავად და მეთანოლად, რომლებიც ტოქსიკურია ორგანიზმისთვის.

გარდა ამისა, შესაძლოა, ასპარტამი დაგროვდეს თავის ტვინში და ნეირონების ანომალიური აქტიურობა გამოიწვიოს.

დაავადებებს კოალების დნმ-ით შეებრძოლებიან

ავსტრალიელმა გენეტიკოსებმა, პირველად ისტორიაში, სრულად გაშიფრეს ამ ჩანთოსანი ცხოველების დნმ-ი.

სიდნეის უნივერსიტეტის მკვლევართა განცხადებით, კოალები საკმაოდ მოწყვლადები აღმოჩნდნენ ქლამიდიების — ბაქტერიების წინააღმდეგ, რაც უშვილობას იწვევს.

იმის გასარკვევად, თუ როგორ ებრძვის ამ ცხოველების ორგანიზმი ბაქტერიებსა და ვირუსებს, სწავლულებმა უნდა გაარკვიონ, სინამდვილეში როგორ მუშაობს კოალების იმუნური სისტემა და რა გავლენას ახდენს მათი დნმ-ი დამცავი მექანიზმების „ჩართვა-გამორთვაზე“.

მკვლევართა თქმით, რამდენიმე ასეული გენი უკვე გამოყვეს და უახლოეს მომავალში, დნმ-ის მოდიფიცირებას ბაქტერიებთან საბრძოლველად განახორციელებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.